გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N16 (9232) | 10 ივნისი. 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

სასაფლაოები უზუფრუქტით და მადლობა "სამტრედიის მაცნეს"

აზიურ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიების პირველი ეტაპი იწყება

2

სანამ ქუჩის ბიალეულობა დაგვინდება

5

როცა დამატება დამატება არ არის
სად არიან საჭირო კომპეტენციები

ქალაქის გზებზე სარემონტო სამუშაოები გრძელდება

6

გრანდიოზული და მასშტაბური პირველი ივნისი სამტრედიაში

იმედი ნუგარის

"ზარი დროებათა გაყრის"

3

პანთეონში დაკრძალული უცნობი მეომრების იდენტიფიცირებისთვის

4

თავად სათურქეთად გახაზირებულის გულისტკივილიანი წერილი

სასაფლაოები უზუფრუქტით და მადლობა "სამტრედიის მაცნეს"

თეა ბაბუნაშვილი

დღის წესრიგი მიიღეს და პირველივე განცხადება ზაზა ადეიშვილმა გააკეთა. სასიხარულო ინფორმაციით დაიწყო საკრებულოს იმდღევანდელი სხდომა. ავსტრალიაში ოკეანის ღია თასის პირველობაზე სამტრედიელი ცოტნე შენგელია ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში.

ტაში ავსტრალიაში ცოტნესა და დარბაზში მის მამას, ბადრი შენგელიას ერგო.

"გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" ხარჯებში შესული რამდენიმე ცვლილება ხელის აწევით მიიღეს. თუმცა, მანამდე ოპოზიციონერი მამუკა ბიბილეიშვილი დაინტერესდა, რა დააშავა დამლაგებელმა, მისაღები ცვლილებით ხელფასი რომ შეუმცირეს. როგორც სამსახურის უფროსმა, ელგუჯა კალაძემ განმარტა, "დამლაგებელს ხელფასი კი არ შეუმცირდა, გაეზარდა. ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც დამლაგებლად მუშაობდა, საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. მისი შტატი გავანაწილეთ და სხვა თანამშრომელს შევუერთეთ, რამეთუ მან თავად გამოთქვა მსგავს რეჟიმში მუშაობის სურვილი." საუბარი სოფლებში სასაფლაოების მოწესრიგების უკვე არაერთხელ წამოწეულ თემას შეეხო. მისი ინიციატორი ამჯერადაც მამუკა ბიბილეიშვილი გახდა "ნაციონალური მოძრაობიდან." როგორც ელგუჯა კალაძემ აღნიშნა: "ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სასაფლაოს კურირებს ეს სამსახური. რაც შეეხება სოფლებს, ჯერ უზუფრუქტით უნდა გადმოგვეცეს ისინი. ეს კანონმდებლობაშია გათვალისწინებული. ამასთანავე, მოთხოვნა სოფლის სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე სოფლებში გამგეობის წარმომადგენლებისგან უნდა მოდიოდეს. ამ ეტაპზე ეს ტერიტორიები შეიწამვლება სარეველა ბალახის მომსპობი ქიმიური საშუალებით."

სხდომაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში, დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლაში, საცხენოსნო კლუბსა და "სახლი თანადგომას" ბიუჯეტში გათვალისწინებული ცვლილებები განიხილეს. აგრეთვე, "სპორტული კომპლექსი-სამტრედიას" მომსახურების ტარიფების დამტკიცებას, 2017 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუფსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ" განკარგულებაში ცვლილებების შეტანას დასთანხმდნენ. იქვე საკრებულოს ყველა წევრის გასაგონად ითქვა, რომ მათ აბონემენტის გარეშე, სრულიად უფასოდ შეუძლიათ აუზით სარგებლობა. ერთი სიტყვით, დეპუტატები აუზზე უფასოდ იცურებენ...

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ სხდომას დეპუტატ ილია მჟავიას სურვილი გააცნო, რომლითაც იგი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრობას ითხოვდა. სხდომის წევრთა თანხმობით მისი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

საკრებულოს სხდომაზე მადლობა "სამტრედიის მაცნეს", კერძოდ, მისი პასუხისმგებელი მდივნის, ლევან გაბეჩავას მისამართით ითქვა. მისი ავტორი საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია გახლდათ და იგი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ წერილს "გიხაროდენ" ეხებოდა. კულაშის საჯარო სკოლას სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით კვლავ მიენიჭება კონსტანტინე მკურნალის სახელი. ნუგზარ ჯამბურიამ, რომლისთვისაც ეს სკოლა განსაკუთრებით მშობლიურია, ხაზი გაუსვა მისზთვის ამ სახელის მინიჭების დატვირთვას. ყველა საჭირო დოკუმენტი განათლების სამინისტროზე გადასაგზავნად უკვე მოამზადა. დაბა კულაშის დეპუტატმა იმედა გოგავამ დეპუტატებს სახელის წარმოშობაც შეახსენა. საბოლოო გადაწყვეტილებას თავად სამინისტრო მიიღებს.

ქალაქის გზებზე სარემონტო სამუშაოები გრძელდება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6 ივნისს დაიწყო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმული და სურათობრივი სამუშაოების გაკეთება. კერძოდ, რუსთაველის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის გამზირის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაგამტარ ხიდზე მოხდა ასფალტბეტონის საფარის ორმული და სურათობრივი შეკეთება. ანალოგიურად რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, რუსთაველის ქუჩაზე დაიგო ასფალტბეტონის საფარი, ასევე, _ საკაძის ქუჩაზე. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ზურაბ გოგიას განმარტებით ზემოაღნიშნული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 14 000 ლარს, ხოლო სურათობრივი, იგივე სარკისებრი სამუშაოების ღირებულება 33 000 ლარია. ეს სამუშაოები გაგრძელდება უმოკლეს დროში ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით.

რეგიონალური განვითარების პროგრამით განსახორციელებელი ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებს მომავალი კვირის დასაწყისში შეუდგებიან.

ნინო ანანიტაშვილი

სანამ ქარის ბრალეულობა დადგინდება

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ მიღებულ დოკუმენტში ცვლილებები გალერეის საჭიროებით იყო გამოწვეული. საკრებულოს სხდომაზე გატანილ ამ საკითხთან დაკავშირებით ბუღალტერმა ხათუნა ნიკოლეიშვილმა კითხვებს პასუხები გასცა. ცვლილება მიღებული იქნა, თუმცა, ფრაქცია "სამტრედიელი რეფორმატორების" ლიდერი იმედა გოგავა სახელოვნებო დარბაზზე გადახდილი ჭერით დაინტერესდა.

ახლად გადახურულ დარბაზს, როგორც იმედა გოგავამ შეაფასა, "არც თუ ძლიერმა" ქარმა სახურავი რომ გადახადა და შემდეგ ადმინისტრაციული სახლის ეზოში კარგა ხანს რომ იყო იგი მიმოფენილი, ცნობილი ფაქტია ახლო წარსულიდან. თუ რატომ არ ხდებოდა შენობაზე გადამძვრალი თუნუქისა და ძელებისგან ეზოს გაწმენდა, ბევრს აინტერესებდა. მიზეზი ექსპერტიზის ჩატარება აღმოჩნდა, რომელსაც უნდა დაედგინა, ეს სტიქიური ქარის "ბრალი" იყო, თუ სატენდერო ხელშეკრულებით აღებული პასუხისმგებლობის არაგულისხმიერად მიდგომის და სამუშაოს უხარისხოდ შესრულების.

იმ სხდომაზე იმედა გოგავა არა სახურავის, არამედ თავახდილი დარბაზის ბედით დაინტერესდა, სადაც მხატვრული ტილოებია გამოფენილი: "მიმართეთ საერთოდ ვინმეს? ჩააყენეთ საქმის კურსში? და რა მდგომარეობაშია ამჟამად იქ გამოფენილი ტილოები?"

როგორც ხათუნა ნიკოლეიშვილმა მას განუმარტა, "ბუნებრივია, ყველა პასუხისმგებელი პირი, ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამ შენობაში საქმიანობს, იცნობს ამ პრობლემას. ყველა მათგანი შეწუხებულია. ჩვენი თანამშრომლები მობილიზებულები იყვნენ ქარის დროს, როცა სახურავი გადახადა დარბაზს და შემდგომ ხშირი წვიმების პერიოდში, ტილოები უსაფრთხოდ შეენახათ და არ დაზიანებულიყო. ვერ გეტყვით კიდევ რა დაზიანდა სახურავის გადახდის პროცესში, მაგრამ წვეთავს წყალი სახურავზე დადგმული ავზიდან, წვიმის შედეგად დარბაზის იატაკზე სოკოა ამოსული."

გადახურვის სამუშაოების დაწყებით დაინტერესებულ დეპუტატს დეპუტატებმა უმრავლესობიდან და საკრებულოს ხელმძღვანელებმა უპასუხეს, რომ ელოდებიან ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც გამოავლენს სამუშაოს შემსრულებელი კომპანიის ან ქარის "ბრალეულობას." საქმის სპეციალისტები დარბაზის ჯერ ისევ ახლად დასრულებული გადახურვითი სამუშაოების უხარისხობაზე საუბრობენ. მშენებელი კომპანია კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მომხდარში სტიქიას "ადანაშაულებს." ვნახოთ, რა შედეგს დადებს სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა, მაგრამ ამ დასკვნამდე დასკვნა ისაა, რომ დარბაზი და მხატვრული ტილოები კვლავ გალერეის თანამშრომლების ძალისხმევის იმედზე რჩება. ბუნებრივ მოვლენებს კი წინასწარ გაფრთხილების "კულტურა" ნაკლებად აქვთ, მით უმეტეს, როგორც წესი, საქართველოში ამინდის და ზოგადად პროგნოზები ნაკლებად ამართლებს.

აზიურ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიების პირველი ეტაპი იწყება

ქეთევან ჭელიძე

7 ივნისს სამტრედიას სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის მოადგილე ლევან თოლორდავა ეწვია. თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩვენს ქალაქში სააგენტოს მცენარეთა დაცვის ინსპექტორებიც ჩამოვიდნენ. მათ, საგანგებოდ შექმნილ სპეციალურ ჯგუფებს პესტიციდ "ზონდერის" გამოყენებისას უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით, ტრენინგი ჩაუტარეს. ტრენერთა შორის სამტრედიის მცენარეთა დაცვის ინსპექტორი მიხეილ სხვიტარიძეცაა. სულ 150 კაცმა გაიარა სწავლება. 72 "სოლო" აპარატი, წამალი და სპეცაღჭურვილობა მუნიციპალიტეტის ყველა თემს გადაეცა.

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის, გრიგოლ მიქელაძის ძალისხმევით ჩვენი მუნიციპალიტეტი იმერეთში ერთადერთია, სადაც მავნებლის კერების შეწამვლა მოხდება. ადგილობრივი ხელისუფლება სურსათის უვნებლობის სამსახურთან ერთად აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებაში აქტიურადაა ჩართული. ძირითადად აქცენტი თხილის კულტურაზე კეთდება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2360 ჰექტარი უფასოდ შეიწამლება.

გასულ წელს თხილის ექსპორტის კუთხით 70 მილიონი ლარი იზარალა ჩვენმა ქვეყანამ, რაც მიხეილ სხვიტარიძის განმარტებით, დიდ წილად აზიური ფაროსანას მავნებლობის გამოც მოხდა. "ამჯერად შეწამვლის 1-ლი ეტაპი იწყება. მე-2 ეტაპის სამუშაოები აგვისტოში ჩატარდება. ეს არ ნიშნავს, რომ მავნებელი მთლიანად მოისპობა. ისეთ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, 10 წელია ებრძვიან მას. ჩვენი მიზანია, მინიმუმამდე შევამციროთ ამ მავნებლის მიერ მიყენებული ზარალი". _ აღნიშნა მან.

შეწამვლის დრო ამინდზეც არის დამოკიდებული. ვარაუდობენ, რომ პროცესი უახლოეს დღეებში დაიწყება.

პანთეონში დაკრძალული უცნობი მეომრების იდენტიფიკაციისთვის

ქეთევან ჭელიძე

1992-93 წლების სამოქალაქო დაპირისპირებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გაუჩინარებულ ადამიანთა მისაკვლევად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ინფორმაციების მოძიება 2010 წლიდან დაიწყო. საქმიანობა ორი საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში მიმდინარეობს. ერთი მექანიზმით ქართველი და აფხაზი, ხოლო მეორე მექანიზმით ქართველი, ოსი და რუსი მონაწილეები მუშაობენ. 2016 წლამდე 249 ნეშტი იქნა მოძიებული, რომელთაგან 107 უკვე ამოცნობილია. 2017 წლის მაისიდან აგვისტომდე იმის გამო, რომ პასუხი გაეცეს უგზო-უკვლოდ დაკარგულ ადამიანთა ოჯახების შეკითხვებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი შიდა ქართლში, იმერეთში, აფხაზეთსა და თბილისის შემოგარენში 30-ზე მეტ პოტენციურ სამარხს გახსნის. სავარაუდოდ, საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაკარგულთა 150-მდე ნეშტი იქნება მოძიებული. ამ მიზნით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დასავლეთ საქართველოს ზუგდიდის ოფისის დაცვისა და მოძიების სამსახურის საველე ოფიცერი ლანეტა როდონაია არგენტინელ ანთროპოლოგებთან და ქართველ მოხალისე არქეოლოგთან ერთად სამტრედიას ეწვია. სპეციალისტებმა პანთეონში 3 უცნობი მეომრის სამარხი გახსნეს და მათი ნეშტიდან აღებული ნიმუშები იდენტიფიცირების მიზნით ზაგრებში გაგზავნეს.

ედუარდ ახობაძე, ვეტერან მებრძოლთა გენერალური დირექტორი, მეომრების პანთეონში დაკრძალვასთან დაკავშირებულ დეტალებს იხსენებს: "ვიცოდით, რომ ე.წ. "სელსტროისთან" დაღუპული ბიჭები კომახოურის სასაფლაოზე დაკრძალეს. ასევე გვქონდა ინფორმაცია, რომ მებრძოლები დაკრძალულები იყვნენ ილორშიც, მაგრამ ეს სიმართლე არ აღმოჩნდა. კომახოურის სასაფლაოდან კი ორი ნეშტი გადმოვასვენეთ. კულაშში სასაფლაოს მცველმა გვითხრა, რომ ღამით შეიარაღებულმა ადამიანებმა გარდაცვლილები მანქანით მოიყვანეს, გადმოასვენეს და თავისივე ხელით დაასაფლავეს. წასვლის წინ მითხრეს, თუ ვინმე გკითხავს, უთხარი, ორი ადამიანი დაკრძალესო. ჩვენ იქ მხოლოდ ერთი ადამიანის ნეშტი აღმოვაჩინეთ. ასე რომ, 2004 წლის აპრილში აქ სამი მებრძოლი გადმოვასვენეთ. ვფიქრობ, რომ ისინი სამტრედიელები არ არიან".

დავასუფთავოთ ქალაქი!

ნინო ნანიტაშვილი

5 ივნისს, მსოფლიო დასუფთავების საერთაშორისო დღეს სამტრედიის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. აქციაში აქტიურად მიიღეს მონაწილეობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებმა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირები.

ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: "გარემო და მისი დასუფთავება წელიწადის ამ დღეს არ უნდა გვახსოვდეს მხოლოდ. ნებისმიერი მოქალაქის ვალდებულებაა, ვიზრუნოთ დედამიწაზე, ჩვენს გამჩენსა და მარჩენალზე. გვწამდეს და სხვებსაც ვარწმუნებდეთ იმაში, რომ ჯანსაღი გარემო ჩვენი მომავლის სიჯანსაღეს განაპირობებს. ამიტომ, აქტიურად ვუერთდებით სამტრედიის დასუფთავების აქციას და ყველა სამტრედიელს მოვუწოდებთ, იზრუნონ გარემოზე".

5 ივნისს თავდაპირველად დასუფთავდა ლაშა თევზაძის ქუჩაზე არსებული 2008 წლის 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული სამტრედიელი ვაჟკაცის, ლაშა თევზაძის სახელობის სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია.

ბეჟან გეგეშიძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: "ხელისუფლებას ერთგვარ ვალდებულებად აქვს, მუდმივად იზრუნოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ლაშა თევზაძის სახელობის სკვერის დასუფთავებაზე. ჩვენ სისტემატურად მოვდივართ, ვიღებთ ნაგავს, რომელიც ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან, პლასტმასის ბოთლებისაგან შედგება. თუმცა არ შემიძლია, გულისტკივილით არ შევნიშნო, რომ ამ სკვერსა და მის მიმდებარე ტერიტორიას ისევ ადგილობრივი მოსახლეობა აბინძურებს. ამ წუთში, თქვენც ჩემთან ერთად შენიშნეთ, როგორ გადმოაგდო კორპუსის ეზოდან გამოსული ავტომანქანის სალონიდან მამაკაცმა პლასტმასის ცარიელი ბოთლი. გულსატკენია ისიც, რომ აქ მცხოვრები ოჯახები ნაკლებად იჩენენ აქტიურობას, თავადაც დაასუფთაონ სკვერი, სადაც მათი შვილები და შვილიშვილები თამაშობენ".

ბეჟან გეგეშიძეს იმ დღეს ლაშა თევზაძის ქუჩაზე მცხოვრები ქალბატონიც დაეთანხმა. მისი თქმით, არ ყოფილა შემთხვევა, სკვერი რომელიმე მეზობელს დაესუფთავებინოს.

აქციის მონაწილეებმა იმავე დღეს დიდგორის ქუჩაზე გადაინაცვლეს, სადაც ყოფილი საავადმყოფოს, ამჟამად კი იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების მიმდებარედ, მდინარე ჭურთავას ნაპირზე ხელოვნურად წარმოქმნილი ნაგავსაყრელია. გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებმა ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანეს. იქვე მცხოვრები მოსახლეობა ამ ფაქტს შორიდან უყურებდა და თავს იმით იმართლებდნენ, რომ დიდგორის ქუჩაზე სანაგვე ურნა არ დგას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ხელოვნური ნაგავსაყრელი არ იარსებებდა.

"სამტრედიის მაცნემ" მოსახლეობის პრეტენზია მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილესთან გააჟღერა. დავით ბახტაძემ საკმაოდ დამაიმედებელი კომენტარი გააკეთა: "სამტრედიის მუნიციპალიტეტს გათვალისწინებული აქვს ამ ადგილზე სანაგვე ურნების განთავსება. როგორც კი ექსპლუატაციაში შევა ახალი ნაგავმზიდი, დასუფთავების მომსახურების არეალი კონკრეტულად ამ უბნისთვის იზრდება".

თავად სათურქეთედ გახაზირებულის გულისტკივილიანი წერილი

თეა ბაბუნაშვილი

_ წელან რა სიტყვა თქვი და რას ნიშნავს?

_ თამამ _ დათანხმებაა, არკადაშ _ ამხანაგი, ჰაიდე _ წადი, თოფრაკ _ მიწა, ანე _ დედა... ელემენტარული მაინც უნდა იცოდე... ასე აგრარულ ბაზარში საუბრობდნენ დახლებთან ბოსტნეულის გამყიდველი ქალბატონები, გადასძახებდნენ ერთერთს უცხო სიტყვებსა და მათ მნიშვნელობას. ერთმა უფრო "ფუნდამენტური" დახმარება შესთავაზა, მე რომ მივდიოდი, ჩამოწერილი მქონდა და მოგიტანო.

დიახ, თურქეთის "პუტიოვკა" მაქვსო, სავაჭროდ შემოსულ ქალბატონს კითხვაზე უპასუხა დახლზე კალამმომარჯვებულმა. ყოფილი თანამშრომლები აღმოჩნდნენ, ფაბრიკაში მუშაობდნენ თურმე ერთად. აქ დგომითაც რა გამოდის, გამყიდველი უფრო მეტი ვართ, ვიდრე მყიდველი და ვინც ყიდულობს, არც მას აქვს ფული. ცალობით იყიდა პომიდორი ჩვენმა ინჟინერმაო, _ ყოფილი ხელმძღვანელის გვარ-სახელი გაახსენა ყოფილ თანამშრომელს. იმ მთის და ამ ბარის მხოლოდ მოგონებები იყო, თუნდაც იმის, როგორ მიდიოდნენ " არადა, ვაჭრობა და სახელმწიფო დასაქმებულად გთვლის _ გულისტკივილს ვერ მალავდა მწვანილისა და ბოსტნეულის დახლთან კალამმომარჯვებული.

... პომიდორი ეძვირა დახლთან მისულ მყიდველს. ვერც მე ვყიდულობ იაფადო, თავი მიანება "ერმიტაჟში" სამსახურიდან ექსკურსიაზე ყოფნის მოგონებას და შეესიტყვა გამყიდველი.

ეს ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა, ბანალურიც ალბათ. მასში არაფერია გასაკვირი, მით უფრო საინტერესო.

არც ისაა საოცარი, ორიოდე დღის წინ საბერძნეთიდან რამდენიმე დღით ჩამოსული ახლობლის უკან გაცილებისას, ტირილამდე რომ მიიყვანა მოგონებად ქცეული დიდი ქარხნის ყოფილი ბუღალტერი თურქეთისკენ მიმავალი ორი დატვირთული ავტობუსის ხილვამ. 38 წლისა ვიყავი რომ შემამცირეს, ქარხანა დაიხურა და სახლში დამსვესო. მას მერე 20 წელზე მეტი გავიდა.

დღეს გადარჩენის გზა ქვეყნის საზღვარს სცილდება.

_ ერთეულები ერგებიან ამ ცხოვრებას. ვის უნდა შენი წიგნი და სწავლა, დღეს კაცი ისაა, ვინც ყველა გზას ნახულობს და ფულს შოულობს, ზოგი დიდს, ზოგი საარსებოდ სამყოფს.

_ აქაც რა იშოვება, თუ "წამალზე" არ ივაჭრე, ან ფული არ აპროცენტე, სადაა შენი ადგილი და საქმე!

_ რა ვქნა, ოჯახს რა ვუყო, თორემ სიკვდილი მირჩევნია იქ წასვლას. აი, მომიყვანა და დამიქნია ხელი ჩემმა ქმარმა. ნახევარი არ იცის, რის ფასად მიჯდება ოჯახის კეთილდღეობა. პირველად წასვლა რომ ვთქვი გადაირია, იქ რა გინდაო, ახლა მიეჩვია, გაუცნო დოლარებს გემო!

_ სადღეგრძელოც არ იყო, იმ კაცს გაუმარჯოს, ვიცი ცოლიც თურქეთში არაა ნამყოფიო. ახლა სანთლითაა საძებნი მასეთი ქართველი კაცი!

დიახ, მოდი და ნუ გაგახსენდება, ყველაფერს რომ გაიღებდა ქართველი კაცი, ოღონდ მისი ცოლი მუსულმანების ქვეყანაში არ მოხვედრილიყო. თუმცა რაღა მხოლოდ მამაკაცი, ქარაფიდან გადაჩეხილი ქართველი ქალებიც ახსენებენ თავს ისტორიის გაკვეთილებიდან შერჩენილ მეხსიერებას.

პირველი დიალოგი აგრარული ბაზრის ე. წ. უკანა ჭიშკართან, "ბონგის " მხრიდან შესასვლელთან გაიმართა, მეორე ნაწყვეტი "ბათუმის პერიეზთან" გამართული საუბრიდანაა. არც ამაშია ახალი არაფერი, მხოლოდ გულის სიღრმეში მიმალული სიამაყის, საკუთარი თავის დანანების ტკივილი გაადვიძა კიდევ ერთხელ.

ამ წერილსაც სათურქეთედ გახაზირებული წერს, უცებ რომ გაუქარწყლდა იქ წასვლით ხსნის იმედი, რადგან ...

_ აღარც იქაა უკვე არაფერი, თუ ენა არ იცი, ხელფასიც ძალიან დაბალია. და მერე როგორ მუშაობ... მოსამსახურე "თანამდებობაა", _ მწარედ ეღიმება ავტობუსის მომლოდინეს _ მონა ხარ!

ეს წერილი არ დაიწერებოდა, ბაზარში თურქული ენის გაკვეთილი რომ არ "ჩატარებულიყო."

პომიდორი გაიყიდა. იმას, სათქმელი ითქვა თუ არა, აზრიც აღარ აქვს უკვე. გულისტკივილი თქვენი, ჩემი, იმის და კიდევ იმის... ყოველ წუთს გაგონილი, კიდევ ერთხელ გავიმეორეთ.

არაფერია ახალი ამ წერილში... უბედურებაც ეს არის!

ჰოდა, "ჰაიდე" წადის ნიშნავს თურქულად!

იმედი ხვალის

ბატონო ლევან, ვისია ეს ლექსი? _ მორიდებით მკითხა ერთ-ერთმა პედაგოგმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ღონისძიებაზე, სიყვარულის თემას რომ ეძღვნებოდა.

მხრები ავიჩეჩე, რადგან ლექსი პირველად მოვისმინე და დარბაზის ტაშისცემას, მოწონების ნიშნად რომ დაიმსახურა მისმა წამკითხველმა თამუნა ჯინჭველიეშვილმა, უპრობლემოდ ჩემი ოვაცია შეგუურთე.

მოგვიანებით შევიტყვე, ლექსი იმასვე რომ ეკუთვნოდა, ვინც წაიკითხა.

თამუნა ჯინჭველიეშვილი მე-4 საჯარო სკოლის IX კლასის წარმატებული მოსწავლეა. მოსწავლეთა პარლამენტის ერთერთი აქტიური წევრი ხშირადაა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების წამყვანის ამპლუაში, იმ დღეს კი, როგორც ამბობენ, ფურორი მოახდინა.

ხალისიანი ბავშვია თამუნა, უყვარს კითხვა, ძიება, თანატოლები, პედაგოგები... ტრადიციულ კითხვაზე, რომელი პედაგოგი უფრო მოსწონს, რომელი უფრო აზიდავს, არატრადიციული, საოცრად წრფელი პასუხი გავგცა: ზოგმა თავი შემაყვარა, ზოგმაც საკანი, ამდენად, ვერც ერთს ვერ გამოვყოფო.

ძიებით საკმაო სამი წელია საჭირო, საიმისოდ, რომ თამუნამ სკოლა დაამთავროს და სასურველ სპეციალობაზე მოსინჯოს საკუთარი ძალები.

საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა _ აი, პროფესია, რომელიც მას იტაცებს.

რაკი ჯერ ყველაფერი წინაა, ბეჯითი სწავლას, წარმატებებს გუსურვებთ თამუნას, ყველა მის თანატოლს და მკითხველს იმ ლექსს ვთავაზობთ, ამ ციცქნა წერილის დაწერის საბაბი რომ გახდა.

<u>ლევან გაბეჩავა</u>

ხომ ლამაზი ვარ ეს შენი ცოლი,
მაგრამ ფიქრები გაგირბის სხვისკენ,
აფეთქებული გინდაც ატმის ხე
და მოქნეული გავაზი ვიქნე.
მაინც კაცური ჟინი შეგიპყრობს,
ვერ დაამარცხებ მაგ მწველ სურვილებს,
სხვა ქალს რომ სურნელს ერთხელ მოჰპარავ,
მერე შენს ცოდვას ვიღას მოჰკიდებ?
და საქართველო? უფრო ლამაზი?
ეგ ხომ მეც მინდა, ჩვენც გვინდა ყველას,
ამ აღელვებულ კავკასიონზე
ფრთებგაშლილები გადავფრენთ ერთად.
ისეთს დავუკრავთ, ისეთს ვიმღერებთ,
ელდა ეცემა ხმალს!
დაჟანგებული ქარქაშებიდან
ამობრწყინდება კვლავ!
ცხრა ლახვარსაც გადაიტან!
ცხრაჯერ იტყვი _ მწამს!
ცოლის ღალატს შეგინდობენ,
სამშობლოსთვის კაცს.
ისევ ისე შფოთიანობ,
სიყვარული გკლავს,
სიყმაწვილე გაგიფრინდა
და სიბერე გწვავს.
სადღა არის შავი ჩოხა?
როსღა გეცვა ტანს?
შავგვრემნობას ნუ იჩემებ,
გაგითეთრდა თმა.
შენი ცოლი?! _ ისევ აქ ვარ!
ნუ დაეძებ სხვას.
დღეს სამშობლოს სიყვარულში ჭაღარები გვჭამს.

<u>თამუნა ჯინჭველიეშვილი</u>

რეცა დამატება დამატება აკ აბიბ

სად ჭირდა საჭიროა ეროვნულებში

თეა ბაბუნაშვილი

დღის წესრიგს გადახედეს თუ არა, ჟურნალისტებმა წინასწარ ''იყნოსეს'', მეცხრე საკითხი სხდომას ''გაახალისებდა''. ასეც მოხდა, თუმცა არა იმ დოზით, რასაც ველოდით. გამგეობის საშტატო განრიგში ცვლილებები იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამანდატო და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ გამოიტანა განსახილველად. წინასწარვე გეტყვით, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი მიღებულ იქნა.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლების შესაბამისად განხილულ საშტატო ნუსხაში შესატან ცვლილებებზე გამგეობას დასტური მისცა. ეს კი ამჯერად ნიშნავს, რომ ბაშისა და იანეთის თემში, აგრეთვე ქალაქის ტერიტორიულ ორგანოში სპეციალისტის შტატი იქნება დამატებული.

რა თქმა უნდა, ოპოზიციას მაშინვე გაახსენდა, რომ ეს სწორედ ის შტატია, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რომ გააუქმა ''ქართულმა ოცნებამ''. ''ამჯერად რითია გამოწვეული არასაჭიროს ''ბრალდებით'' შეფასებული ამ შტატის აღდგენა?!'' _ ორაზროვნად დაინტერესდა ''ნაციონალი'' ზურაბ ზაქარიაძე. ''დაგიტოვებდით, აბა, აქტივისტებს, არ გინდოდათ?!'' _ ღიმილიანი ხუმრობის ტონი ჰქონდა ზაზა ადეიშვილს, დეპუტატს უმრავლესობიდან. უმრავლესობამ შტატის დამატების აუცილებლობა სოფლებში მოსაგვარებელ პრობლემათა სიმრავლით ახსნა.

''სამტრედიელი რეფორმატორების'' ლიდერ იმედა გოგავას განცხადება, რომელიც შტატის დამატების აუცილებლობის განმარტებას გულისხმობდა, ფაქტობრივად, უპასუხოდ დარჩა. ''ჯერ ამ შტატების დამატება რითია გამოწვეული, მით უმეტეს, რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოთხოვნით, გამგეობაში დაინიშნა სოფელში გამგებლის წარმომადგენლების კოორდინატორი. სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს არავითარი ფუნქციები არ აქვთ გარდა იმისა, რომ ''ფოსტალიონები'' არიან, ანუ ამბად ჩამოაქვთ გამგებლამდე, რა ხდება სოფლებში. ეს ერთი, მეორეც, გამგეობის საშტატო ნუსხაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მითითებულია 9 შტატი: სამსახურის უფროსი _ 1; წამყვანი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში _ 3; უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში _ 1; მთავარი სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში _1; უფროსი სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში _ 1; სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში _ 2. რა ურთიერთობები აქვთ ასეთი მედიასთან, ამდენი სპეციალისტი რომ არის საჭირო. გარდა ამისა, არც ერთი მათგანი არ გახლავთ ჟურნალისტი ან ჟურნალისტური გამოცდილების მქონე. აღარაფერს ვამბობ მათ მიერ გამოქვეყნებული მასალების ხარისხზე. ზოგადად პიარისთვის არ არის აუცილებელი თანამშრომელი პროფესიით ჟურნალისტი იყოს, აი, რაც შეეხება მედიასთან ურთიერთობას, აქ სხვაგვარადაა საქმე. ამ სამსახურის გარდა გამგეობას აქვს დიდი საინფორმაციო ცენტრი. აქვე ხაზს ვუსვამ, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის აუცილებლობა, მოსვლისთანავე ეჭვქვეშ დააყენა ახლანდელმა გამგებელმა და ზოგადად, ადგილობრივ ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა. ახლა 9 კაცით დაკომპლექტებული სამსახური მივიღეთ. რა ხდება? თავად პროფესიით ჟურნალისტი გახლავართ და ამ სფეროში რაღაცეები გამეგება.'' ამ კითხვის ადრესატად გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსმა ნიკა სანაძემ, რომელიც სხდომას გამგეობის წარმომადგენლის ამპლუაში ესწრებოდა, იმედა გოგავას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დაუსახელა. უშუალოდ მასთან კომენტარისთვის მისული ჟურნალისტები კი ადმინისტრაციული სამსახურის უფროს ბეჟან გეგეშიძესთან გადაგვამისამართა: ''სამსახურის უფროსი ბატონი ბეჟანია, რომელიც სოფლებში შტატების დამატებასთან დაკავშირებით საქმის კურსშია, მე მხოლოდ იურიდიული სამსახურის უფროსი გახლავართ. უფრო ამომწურავად ის გიპასუხებთ.''

ბეჟან გეგეშიძემ განაცხადა, რომ ''სამივე ადგილზე ამ პოზიციებზე ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლები მუშაობდნენ, რადგან, საქმიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა იყო. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დროისთვის ქალაქის ტერიტორიულ ორგანოში 25 კაცი გახლდათ დასაქმებული. ჩვენ ეს რიცხვი ცხრამდე შევამცირეთ. მერე ერთი თანამშრომლის ხელშეკრულებით აყვანა დაგვჭირდა. ამიერიდან სწორედ ეს ხელშეკრულება იქცევა მუდმივ შტატად. ასევეა ბაშსა და იანეთშიც.''

მუნიციპალიტეტის გამგებელი, როგორც თავად აღნიშნა, ყველაფრის, მათ შორის საკრებულოს იმ სხდომაზე დასმული კითხვების საქმის კურსშიც გახლავთ. ამიტომ იქ დასმულ კითხვებს ჩვენი გაზეთის მეშვეობით საკუთარი კაბინეტიდან უპასუხა: ''ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დროისთვის სოფლებს რწმუნებულები მართავდნენ, მაშინ ადგილობრივი მმართველობის სხვა სისტემა იყო და ეს შტატები აუცილებლობას არ წარმოადგენდა. მერე კანონმდებლობა შეიცვალა. ამჯერად, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, მხოლოდ დიდ ჯიხაიშსა და გომშია გამგებლის წარმომადგენელთან ერთად ორი სპეციალისტი. ასევე დაისაჭიროვა ბაშმა და იანეთმა. იანეთში ე. წ. მესხების დასახლების გამო გვაქვს ამის აუცილებლობა. ქალაქის ტერიტორიულ ორგანოშიც, მოსახლეობის რაოდენობიდან, გამომდინარე დიდია დატვირთვა. ამ სამივე პოზიციაზე ხელშეკრულებით აყვანილი კადრები გახლდათ დასაქმებული. ამიერიდან მათი მუდმივ შტატში ასახვა მოხდება. ეს დამატება ფინანსურ თუ სხვა ცვლილებებს არ იწვევს.

რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხელისუფლებაში მოსვლის დროისთვის ჩვენ მისი ხელმძღვანელის შტატის საჭიროება დავაყენეთ ეჭვქვეშ და იგი ადმინისტრაციულ სამსახურს დავუქვემდებარეთ. შემდეგ სამუშაო პრაქტიკამ აჩვენა ამ სამსახურისთვის ხელმძღვანელის აუცილებლობა. სხვათა შორის, ეს კონკრეტული სამსახური, ჩვენც უხვშტატიანი დაგვხვდა. რაც შეეხება იმას, რომ მედიასთან ურთიერთობას რამდენიმე შტატი აქვს დათმობილი და არ არის ჟურნალისტებით დაკომპლექტებული, ვთვლი, საქმეს არ აფუჭებს. სასურველია, თუმცა არა აუცილებელი მათი ამ პროფესიის წარმომადგენლებით დაკომპლექტება, მით უმეტეს, რომ გამგეობას ორი დიდი აიპი, ''სამტრედიის მაცნე'' და საინფორმაციო ცენტრი აქვს, სადაც სპეციფიკა ჟურნალისტების დასაქმებას მოითხოვს. ისინიც ჩვეულებრივ გამგეობის ორგანოები არიან.''

როგორც ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები აცხადებენ, საშტატო მატება, ფაქტობრივად, მატება არ არის. საკრებულოს სხდომაზეც აღინიშნა, რომ ფორმულის გარეშე, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით საჯარო მოხელეთა საჭიროებას რომ განსაზღვრავს, ვერც ერთი შტატი ვერ დაემატება საჯარო მოხელეთა ნუსხას. შეიცვლება თუ არა თავად ფორმულა, ან იქნება თუ არა მოხელეებზე მისი მორგების ''აუცილებლობა'', ყველაზე უკეთ ადგილობრივი თნითმმართველობის არჩევნების წინ უნდა გამოჩნდეს. როგორც ოპოზიცია აცხადებს, მოვლენებს ფხიზლად დააკვირდებიან. თუმცა, ოპოზიციის დაკვირვებებზე საკუთარის შეგებების და ძველის გახსენების ხალისი ახლანდელებს ჯერ ისევ არ დაკარგვიათ.

ლევან გაბეჩავა

''სიმღერა მაცოცხლებს''

შემთხვევით მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გამართულ ერთ-ერთი ღონისძიებისას გავიცანი.

პროფესორ ალექსანდრე ლორიასა და ემიგრანტი პოეტის, მარინა ხუჭუას წიგნების განხილვა ეწყობოდა. იურიმ მხატვრული ნომერი შეასრულა და როცა სიმღერა დაამთავრა, არცთუ დიდ, თუმცა, ინტელექტუალებით გადაჭედილ დარბაზს ოვაციამ გადაუარა.

დავინტერესდით ნიჭიერი ახალგაზრდით და...

იური სტურუა დღეს ''სამტრედიის მაცნეს'' სტუმარია.

მოკრძალებული ახალგაზრდაა, უყვარს სპორტი, კითხვა, გალაკტიონისა და ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას განსაკუთრებით აფასებს. დამთავრებული აქვს ფოლკლორის სკოლა-სტუდიის ხალხური შემოქმედების განყოფილება ხალხური სიმღერისა და საკრავების სპეციალობით.

მღერის ბავშვობიდან, არც კი ახსოვს როდის იყო პირველი წარმატება.

როცა მის სახელზე გაცემულ ჯილდოებს, სიგელებს, დიპლომებსა და მედლებს გავეცანით, მართალი გითხრათ გავოცდით, როდის მოასწრო ამდენი, თუმცა, როცა გავიგეთ, რომ სიმღერაა მთელი მისი ცხოვრება, ნათელი გახდა ყოველივე.

პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება აჭარის მუსიკალური საზოგადოებისა და კულტურისა და ტურიზმის ცენტრ ''ეგრისის'' მიერ გამართულ ფესტივალ-კონკურსში ''დელფინი 2008''.

ასევე პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება ფესტივალ-კონკურსში ''ოქროს დელფინი 2010'' მონაწილეობისათვის.

ლაურეატის წოდება, პირველი ადგილი და შესაბამისი ჯილდო ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურში მიღწეული წარმატებებისათვის... ყოველივე მცირეზე მცირე ჩამონათვალია ტიტულოვანი ფესტივლებისა, სადაც წარმატებით გამოსულა ახალგაზრდა შემოქმედი.

მას შემდეგ, რაც იურიმ ეროვნულ ცენტრთან არსებული სასწავლებელი დაამთავრა, გადაწყვიტა მთელი არსებით ჩაებას ეროვნული ფოლკლორის სამსახურში და მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ეროვნული კულტურის განვითარებაში, ამავე დროს დიდი სურვილი აქვს, სასულიერო განათლებაც მიიღოს.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით საუბრობს რესპონდენტი მამა ეგნატეს (მიქაძე) შესახებ, რომლის სულიერი შვილიც თავადაა.

აბაშის კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ ''ჯარგვალის'' წევრს (ანსამბლის ხელმძღვანელი მოგელი მაკალათია) მოკრძალებული, შედეგზე ორიენტირებული სამომავლო გეგმებიც აქვს. გაგვიმხილა სკოლა-სტუდია მსურს გავხსნა, სადაც ქართულ ფოლკლორს, სიმღერებს შევასწავლი დაინტერესებულ ახალგაზრდებსო.

ჩვენი საუბრიდან მეორე დღეს იური თბილისში მიემგზავრებოდა, სადაც საკმაოდ ცნობილ მომღერალ მარიამ ცქვიტინიძესთან დუეტი უნდა ჩაწეროს, ''ცხოვრება'' ჰქვია სიმღერას, პრემიერა კი ივნისში შედგება.

თარხნიშვილების, კავსაძეების, გონაშვილისა და სხვათა საქართველოში სიმღერისადმი ტრფიალით ძნლად რომ ვინმე გააკვირვო.

მისასალმებელია, რომ მათ კვალს არა ერთი და ორი ნიჭიერი ახალგაზრდა მიჰყვება საოცარი სიყვარულით, შემართებით, მონდომებით.

იქ, სადაც მონდომებაა, როგორც იტყვიან, მიუღწეველი არაფერია.

წარმატებებს ვუსურვებთ იურის სამომავლოდ, ვიმედოვნებთ, მის წარმატებებზე არაერთხელ მოგვიწევს წერა.

გრანდიოზული და მასშტაბური პირველი ივნისი სამტრედიაში

ნათია ნაცვლიშვილი

1950 წლიდან მსოფლიო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ეს თარიღი ტრადიციულად გრანდიოზულად აღინიშნა. მომავლის პარკში სიცოცხლე მჩქეფარებდა, პატარების ცეკვა, სიმღერა, ხატვა, გართობა პიკს აღწევდა.... ამ დღის აღსანიშნავი ღონისძიებები განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (უფროსი ნატალია მანჯგალაძე) იყო ორგანიზებული. მასში აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღები. კონცერტი საბა ჩაჩუასა და მარიამ ლორიას მიჰყავდათ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ პატარებს თავისივე სამუშაო კაბინეტში უმასპინძლა. ბავშვებმა მას კითხვები დაუსვეს და პასუხებიც მიიღეს. მერე ერთად გადმოინაცვლეს მომავლის პარკში, სადაც უამრავი ლამაზი ღონისძიება პარალელურად იმართებოდა. სადღესასწაულო განწყობა სამტრედიელ ბავშვებს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სპეციალურად ამ დღისათვის მოწვეულმა მსახიობებმა აუმაღლეს. სამტრედიის სამხატვრო სკოლა-გალერეის (უფროსი ნინო ნინუა) მოსწავლეებმა სპეციალურად ამ დღისათვის ბანერები შექმნეს, რომლითაც მომავლის პარკი დაამშვენეს. მათ ასევე გამოფინეს ნახატები. პატარები იმ მზიან დღეს ასფალტზეც ხატავდნენ, მათივე მომზადებული საგანგებო დეკორაციების ფონზე პატარებს სახალისო ფოტოების გადაღებაც შეეძლოთ. ნანა ფოცხვერიას დიზაინერული ფანტაზიის წყალობით შექმნილი ყვავილებიანი ჩარჩო არა მარტო პატარებს, დიდებსაც გვიზიდავდა ფოტოების გადასაღებად. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორი ხათუნა გაგუა) განსაკუთრებულად მასშტაბურად ჩაერთო ამ ღონისძიებაში. პირველი საბავშვო ბაღის, პირველი ბაგა-ბაღის, მეორე ბაგა-ბაღის, მეოთხე ბაგა-ბაღის, მეხუთე ბაგა-ბაღის, მეექვსე ბაგა-ბაღის, მეათე ბაგა-ბაღის, კულაშის პირველი ბაგა-ბაღის, დაბლა გომის ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ულამაზესი ვოკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგნენ სცენაზე და აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს. მუნიციპალიტეტის გამგებელი მიესალმა პატარებს და ბავშვთა დღე და ნინოობის დღესასწაული მიულოცა. ის ბავშვებს ტკბილეულითაც გაუმასპინძლდა.

"ღიმილიანი და ბედნიერი გვენახოს ყველა ბავშვი"

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიუძღვნა "სახლი თანადგომამ" ნობათი, რომელსაც დირექტორი მზევინარ ბოხუა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით ტრადიციულად უმზადებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებს და ასევე მრავალშვილიან ოჯახებს ხუთი და მეტი შვილით.

წელსაც არ დარღვეულა ტრადიცია, პირველ ივნისს, იმ დროს, როცა ქალაქში საზეიმო ღონისძიებები მიმდინარეობდა, "სახლი თანადგომას" ოფისში ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მოზარდებისთვის მიმდინარეობდა ამანათების გადაცემა.

მზევინარ ბოხუა, "სახლი თანადგომას" დირექტორი: "მიუხედავად იმისა, "მომავლის პარკში" ტარდება კონცერტი, ისმის სასიამოვნო მელოდიები, გამოდიან საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და სხვა შემოქმედებითი ჯგუფები, არ მაქვს შესაძლებლობა დავესწრო ზეიმს, რადგან ბავშვთა დაცვის დღეს ჩვენც განსაკუთრებულად აღვნიშნავთ, ნობათს ვუმზადებთ ჩვენს ბენეფიციარებს, კერძოდ, შშმ ბავშვებს და მრავალშვილიან ოჯახებს. ვსარგებლობ შემთხვევით და მთელი პლანეტის ბავშვებს მივულოცავ ბავშვთა დაცვის დღეს, ვუსურვებ უღრუბლო ცას. გამორჩეულად მოვეფერები ჩემს პატარა ბენეფიციარებს, მათ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას ვუსურვებ. ღიმილიანი და ბედნიერი გვენახოს ყველა ბავშვი: ჩვენ, მრავალშვილიანი დედების რიცხვის გაზრდის ხარჯზე, მოგვმატებოდეს მათზე გადასაცემი ნობათი".

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის 75 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია დაფიქსირებული, ხოლო 23 _ მრავალშვილიანი ოჯახი. შესაბამისად, "სახლი თანადგომამ" 98 ნობათი მოამზადა პირველ ივნისს გადასაცემად. ამ დღეს, დაახლოებით, 70 პროცენტი გამოცხადდა. ყველა მათგანი მადლიერებას გამოხატავდა მათი ოჯახებისთვის გაწეული დახმარებისთვის.

ამანათი წელსაც მრავალფეროვანი იყო. რვა სახის დასახელების პროდუქტში შედიოდა პურის ფქვილი, მაკარონი, ბრინჯი, ზეთი, შაქარი, კანფეტი, ტომატ-პასტა და ლიმონათი. სულ 50 ლარის ღირებულების.

1-ლ ივნისს, დაახლოებით, მიმღებ ბენეფიციართა 70 პროცენტი გამოცხადდა. ვინც იმ დღეს მოსვლა ვერ მოახერხა, მათ მომდევნო დღეებში შეეძლებათ ამანათების მიღება.

დატვირთული დღის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავეიშვილმა მაინც მოახერხა "სახლი თანადგომას" დირექტორის, მზევინარ ბოხუას კაბინეტში მისვლა. მან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა, მოეფერა და ამანათების გადაცემაში მონაწილეობა მიიღო.

ერთ-ერთი შშმ ბავშვის მშობელმა ნონა თოფურიამ დიდი კმაყოფილება გამოხატა "სახლი თანადგომას" დირექტორის მზევინარ ბოხუას და მისი თანამშრომლების მიმართ, მან იქვე აღნიშნა: "უფასო სასადილოს სადილით ძალიან კმაყოფილი ვარ და იქაური თანამშრომლების მომსახურებითაც. რაც შეეხება სამტრედიის რაიონის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, იგი დიდ ყურადღებას მაქცევს და რაც შეუძლია მეხმარება ჩემი ავადმყოფი შვილის სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად. ასევე კმაყოფილებას გამოვხატავ გამგებლის მოადგილის, ლიზა კრავეიშვილის მიმართაც.

ნინო ნანიტაშვილი

“ზარი დროებათა გაყრის”

ნათია ნაცვლიშვილი

გვქონდა მოლოდინი, რომ საინტერესო და ორიგინალური იქნებოდა საბა კაცაძის თანაკლასელთა ბოლო ზარი, ეს მესამე სკოლის (დირექტორი ვენერა ივანიშვილი) მეთორმეტე-ბ კლასის სადღესასწაულო ღონისძიებაა. სკოლას ამთავრებს ჯგუფი, რომელშიც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები არიან, ჰყავთ ფეხბურთელი, სამტრედიის ნაკრები გუნდის წევრი, აკაკი ნინუა, ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის წევრი, საბა კაცაძე, რომელმაც ჯერ კიდევ სკოლის მერხიდანვე მოიპოვა უფლება, ინტელექტუალური თამაშებისათვის დაეწერა შეკითხვები. მომავალი პოეტები _ ანთისა მეძმარიაშვილი და ზურაბ ახობაძე და მრავალი ასევე ძალიან წარმატებული და ნიჭიერი მოსწავლე. ამ სკოლის პედაგოგებმა გვითხრეს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში პირველად მათ დაამკვიდრეს ბოლო ზარის ღონისძიების სკოლის ეზოში გამართვის პრეცედენტი. წითელ ხალიჩაზე ახალგაზრდული შემართება, ნიჭი და უკიდეგანო ენერგია ბობოქრობდა.

ურთიერთს ერწყმოდა ინტელექტზე დაფუძნებული ჯანსაღი იუმორი, გოგობიჭების ცეცხლოვანი ცეკვა და ომახიანი სიმღერა. მათ მოუთოკავ ამბიციას, ზეორიგინალურობის სურვილს ვერ გაუმკლავდები და ვერც უსაყვედურებ, თუ რატომ აირჩიეს შავ-თეთრი სამოსი. სანახაობას საკმაოდ დიდი პუბლიკა ჰყავდა. დეკორაციები თავადვე მოამზადეს სკოლაში, თავადვე ირეჟისორ-ისცენარისტეს, ცეკვები ლაზური, რაჭული, ქართული, ყაზბეგური მაკა მეფარიშვილის დამსახურებით ბრწყინვალედ შეასრულეს, უცხოურადაც აცეკვდნენ. ქართველ კლასიკოსთა ვეებერთელა ტომები სცენასაც ამშვენებდა და იმის რწმენასაც ბადებდა, რომ წიგნი ამ თაობისათვის პრიორიტეტულია. დასაწყისშივე იქნა ნაჩვენები “მესამე სკოლისა და ფიქჩერსის” ერთობლივი ვიდეოკლიპი, რომელიც კლასმა ორი თვის წინ დაამზადა და რომელიც ბოლო (ჩემი მტერიზა იქნა) ზარზე გვეპატიჟებოდა. სათითაოდ, მუსიკალური გაფორმების ფონზე და იუმორნარევი დახასიათებით მოიხმეს სცენაზე თითოეული მოსწავლე. ზოგიერთი მათგანი “წელიწადში 387 დღე სწავლობს, ზოგს არცერთი გაკვეთილი არ გაუცდენია, ამიტომაც წარადგინეს ჟესტის” მედალზე, ზოგს ტანსაცმელთან ერთად მანქანაც უპატარავდება, ზოგი მამის ბიზნესის ღირსეული გამფლანგველი და ნოღის კოლმეურნეობის იმედია...”. ერთ-ერთ იუმორისტულ სკეტჩში ასევე გაიჟღერა ფრაზამ: “ნუ ცხოვრობთ სიცრუეში”. გულთბილად მიესალმნენ დაწყებითების პედაგოგ მარეხ თევზაძეს და ასევე გულთბილი მილოცვაც მიიღეს ამ პედაგოგისაგან. სიყვარულით, ზღვარის დაცვით და არა “გარდამეტებული” ფამილარულობით იყო გაჯერებული პედაგოგების იმიტაციის სცენა. პუბლიკამ გულიანად იცინა სიტუაციის წარმოდგენისას, როცა ერთ-ერთი პედაგოგი “ფეისდრუკში” “ლივეს” ჩართვას ლამობდა და ამ პროცესში მას სკოლის დირექტორი დაეხმარა. დირექტორმა სასწავლო ნაწილისაგან შექება _ “ნამდვილი გენიოსი ხარ” დაიმსახურა. სცენაზე ქაჯეთის ციხის ამღები და მთავარი ჭირთამთმენი, მათემატიკის პედაგოგი, ნინო მიქელაძეც მოიხმეს. პედაგოგმა მათ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის პოვნა და წარმატებები უსურვა. მან ქორეოგრაფიული ნიჭიც გამოავლინა და მოსწავლეებთან ერთად ცეკვა ქართულიც შეასრულა. სცენაზე მოულოდნელად იხმეს პედაგოგები სატელევიზიო თამაშის “ეკი-ვოკი” საკუთარ ვერსიაში მონაწილეობის მისაღებად. მოსწავლეთა მიერ ახსნილი სიტყვები სწორად ვენერა ივანიშვილისა და ანა ლეჟავას გუნდმა გამოიცნო და საჩუქარიც დაიმსახურა. “ივანიშვილებს გიყვართ ხეები” _ მიმართა საბა კაცაძემ სკოლის დირექტორს ქოთანში ჩარგული ნაძვის გადაცემისას. ქალბატონმა ვენერამ მისალმების დროს აღნიშნა: “მადლობა ყველა მე-12 კლასელს, იმ სიხარულისათვის, საატესტატო გამოცდებზე თქვენს მიერ მიღწეული შედეგებით რომ მოგვანიჭეთ. ამ თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში პირველები ვართ. უჩვეულო და საინტერესო კლასია, სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულებმა მოიარეთ პარიზი და ბაქო, ყოველთვის გვიჭირს პედაგოგებს მოსწავლეებთან განშორება, რადგან ყველას შვილებად გთვლით, დაგაფრთიანეთ და იმედია, რკინის ფრთები შეგასხით, მწვერვალებისკენ გზა დამილოცნია! სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა!” სასწავლო ნაწილის გამგე, მარინა ნადირაძე სიყვარულით მიესალმა კურსდამთავრებულებს, მის ემოციას ისიც აორკეცებდა, რომ კლასს მისი შვილიშვილიც ამთავრებს. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია: “ მეც მადლობით დავიწყებ, გამოცდებზე მიღებული მაღალი შედეგების გამო, ეს არცაა გასაკვირი, სკოლა ყოველთვის წარმატებული იყო და არის ახლაც არამარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ, საქართველოში. თქვენ წინ დიდი ასპარეზი იშლება, უამრავ მეგობარს შეიძენთ, უნივერსიტეტებში თუ სხვადასხვა ადგილას, მაგრამ სკოლის მეგობრები განსაკუთრებულად ძვირფასები იქნებიან. მადლობა თქვენს პედაგოგებს, ასეთი წარმატებულნი რომ ხართ”. წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ანტონი (ვაშაკიძე) ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი მეგობარია. ის მიესალმა შეკრებილთ და აღნიშნა: “ამ კლასში ნიცშე ძალიან პოპულარულია, გამახსენდა ნიცშეს სიტყვები: “ხელოვნება იმიტომ არსებობს, რომ ჭეშმარიტებამ არ მოგვკლას!” დღეს ჩვენ ვიხილეთ ხელოვნების, იუმორისა და სინამდვილის ძალიან კარგი სინთეზი. ეს კლასი ჩემთვის ძალიან მშობლიურია, მქონდა აქტუალურ ცხოვრებისეულ თემებზე მათთან საუბარი, ისინი ღრმა აზროვნებას ავლენდნენ, ძალიან დიდი გულშემატკივარი ვარ ამ კლასის, ეს მათი დამრიგებლის დამსახურებაცაა, მინდა მათ ვუსურვო წარმატებები და თავისუფლება. სწორუპოვარი პასუხი თემაზე, რა არის თავისუფლება _ არ არსებობს, მინდა შემოგთავაზოთ ქრისტიანული კონცეფცია თავისუფლების თემაზე. თავისუფლებას უნდა შეეძლოს არა მარტო გამარჯვება, არამედ დამარცხებაც, არამარტო სიხარული, სევდაც, ამ ამბივალენტურ მოცემულობაში უნდა განიკარგოს. საბოლოო ჯამში, ადამიანური თავისუფლების შედეგი არის სიყვარული, ამ სიყვარულს გისურვებთ, სიყვარულით გეცხოვროთ, ქრისტეს სახელით დამილოცნიხართ!”

სამტრედიის ეტალონი მოსწავლე ნიკა ამაღლობელია

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის მეორე ეტაპი “სამტრედიის ეტალონი მოსწავლის” გამოვლენით დასრულდა. 30 მაისს სამტრედიას სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ “ეტალონის” შემოქმედებითი გუნდი, პროექტის ავტორთან, გოჩა ტყეშელაშვილთან ერთად სტუმრობდა. შეხვედრა მუნიციპალიტეტის მე-11 საჯარო სკოლაში გაიმართა და მასში სამტრედიის 29 საჯარო სკოლიდან გამორჩეული მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ინტელექტ-ჩემპიონატს დაესწრნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, კონკურსში მონაწილე სკოლების დირექტორები, კონკურსანტთა მშობლები და პედაგოგები. როგორც “სამტრედიის მაცნეს” “ეტალონის” წამყვანმა, გოჩა ტყეშელაშვილმა განუცხადა, სამტრედიის ეტალონი მოსწავლე ნიკა ამაღლობელი ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 24 ივნისს ბათუმში გაიმართება. ამ გრანდიოზული პროექტის მხარდამჭერია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

სამტრედიის ეტალონი მოსწავლის ტიტულის მფლობელი ნიკა ამაღლობელი, დაბლა გომის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა. მეორე ადგილის მფლობელია მერვე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე მარიამ კუბლაშვილი, მესამე ადგილის _ მესამე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე, მარიამ რუხაძე, მეოთხე ადგილის _ პირველი საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, ივანე მახარაძე, მეხუთე ადგილის _ მე-7 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, რაჩი ჩაჩუა, მეექვსე ადგილზე დაბლა გომის სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, ვაჩე ჩაჩუა გავიდა, მე-7 ადგილზე _ მე-8 სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, მარიამ ამაღლობელი, მე _ 8 ადგილზე იანეთის სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე, ხათუნა ჯვარშეიშვილი. მეცხრე ადგილი კი სამტრედიის მეათე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, ანანო ტყეშელაშვილმა მოიპოვა.

“სამტრედიის მაცნემ” კომენტარი სთხოვა დაბლა გომის საჯარო სკოლის დირექტორს, ომარ ჩაჩუას: “ ჩვენი სკოლიდან შესარჩევ ტურში გაიმარჯვეს მეათეკლასელმა ვაჩე ჩაჩუამ, მერვეკლასელმა ნიკოლოზ ამაღლობელმა და მეათეკლასელმა მარიამ ჩახოიანცმა. საამაყოა ჩვენი სკოლისთვის ეს გამარჯვება. ამაში დირექციისა და პედკოლექტივის ერთობლივი წვლილიცაა.”

"დედაენის" სიბრძნის თანაზიარნი ანბანს აცილებენ

ნათია ნაცვლიშვილი

ამ სკოლას დიდი ტრადიციები აქვს, აქაური სასკოლო ღონისძიებები ყოველთვის სანახაობრივი თვალსაზრისითაც საინტერესოა და შინაარსითაც. პედაგოგ ნათელა გოგოტიშვილის 17-მა პირველკლასელმა ანბანი გააცილა. ანბანის შესწავლის პარალელურად დაგროვილი ცოდნა კი, პატარებმა საკმაოდ წარმომადგენლობითი სტუმრების წინაშე წარმოადგინეს. მათ შეუდარებლად იცეკვეს და იმღერეს, პატრიოტული ლექსები უძღვნეს სამშობლოს, ქართულ ანბანს, ქართულ ენას, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის უმთავრეს საფუძველს, უამრავი თბილი სიტყვა უთხრეს მათზე დედასავით მზრუნველ პედაგოგებს და რაც ყველაზე შთამბეჭდავია, პატარებმა მათ მიერ შესწავლილი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები გააცოცხლეს. საოცარი მსახიობური ოსტატობითა და დამაჯერებლობით განასახიერეს იაკობის უკვდავი პერსონაჟები. მათი დარიგებები ხომ ცხოვრებისეულ სენტენციებად უნდა ექცეთ მომავალში ამ ჯერ კიდევ "ხამისპერანგა ბოგო-ბიჭებს".

"დედაენის" სიბრძნით ნასაზრდოებნი ჯერ შეიძლება კარგად ვერ აცნობიერებენ, მაგრამ ცდილობენ ჩაწვდნენ იმას, "რაც აწვალებდა ცოტნე დადიანს". ნათელა მასწავლებელმა ბავშვები საგანგებოდ მათთვის დაწერილი ლექსითაც გააცილა. პედაგოგ ლელა ბოხუას მიერ შესწავლილი შესანიშნავი სიმღერებითაც მოიწონეს თავი პატარებმა. მეექვსეკლასელებმა უმცროს მეგობრებს იუმორისტული სკეტჩებით გაულამაზეს საღამო. ამ მოსწავლეების მიერ დაწერილმა ხუმრობებმა დარბაზი ერთობ გაახალისა. მეექვსეკლასელმა ნინო თავაძემ შესანიშნავი სიმღერით მოხიბლა მსმენელი. ის მრავალი კონკურსის გამარჯვებულია. ამ სკოლაში დათო ოჩიგავას ყველა იცნობს, როგორც კარგ დეკლამატორს, ამჯერად იოსებ ნონეშვილის იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლექსი წაიკითხა მან. დარბაზში მეთორმეტეკლასელები ისხდნენ, ისინიც განსაკუთრებულად მიესალმნენ პატარებს. მათ შორის სამტრედიის სიამაყე, ევროპის ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ივერი ჯულაყიძე იყო. რთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე შეხვედრას ვერ დაესწრო დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე, სკოლისა და პედაგოგებისადმი მისი მისალმება დარბაზში მყოფთ გააცვნეს. სკოლის დირექტორი, თამარ თევზაძე: "დღეს ნათელა მასწავლებელი იუბილარია და განსაკუთრებულად ვუ ლოცავ ღვაწლმოსილს, ძლიერს, ენერგიადაუშრეტელს, ის ყველაზე გვიან გადის სკოლიდან, დღეს არაერთხელ გაიჟღერა, ამ ბავშვებს უკეთესი დარბაზი სჭირდებათო, თამამად მინდა გავაჟღერო, ჩვენი კურსდამთავრებული დაჩი ცაგურია დაგვპირდა, რომ გაგვირემონტებენ სპორტულ და სააქტო დარბაზებს. მადლობა ნათელა მასწავლებელო თქვენ და ჩვენს ლამაზ ბავშვებს". მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი: " შემაჯამებელი გაკვეთილი ერთობ საინტერესოა, გზას დავულოცავ იმ ახალგაზრდებს, ვინც სკოლის კარს გამოიხურავს, ვუსურვებ, ჩვენი სამშობლოსათვის ღირსეული საქმეები ეკეთებინოს. პატარებმა დღეს უამრავი აფორიზმი და გამოთქმა გაიმეორეს, ეს ყველაფერი ილექება მათ შეგნებაში, შესანიშნავად ახერხებს ქალბატონი ნათელა, ცოდნა გადასცეს მათ, გისურვებთ, თაობები აღგეზარდოთ!"

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია: " კმაყოფილების ზღვარზე ვარ, ნათელა მასწავლებელს წლებია ვიცნობ, შემოქმედებითი და უდიდესი პოტენციის მქონე ქალბატონია, მჯერა, ეს ლამაზი თაობა სიყვარულით ააშენებს ქვეყანას, მინდა ასევე ვისურვო, რომ პედაგოგის პროფესია ბევრმა აირჩიოთ სამომავლოდ. ეს დიდი და მადლიანი საქმეა". მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: "აღფრთოვანებული ვარ, რა ენერგიითა და ცოდნით ხართ დაჯავშნულნი, მე-12 კლასელებს განსაკუთრებულად მივულოცავ, ახალი ცხოვრების დიდ ზღვაში უნდა შესცუროთ, პატარებს კი ვეტყვი, რომ ძალიან ძლიერი საფუძველი აქვთ და წინ ბევრი წარმატება ელით. მადლობა თქვენ". შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორი, ბეჟან გოგია:" მე ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ, მართლაც საუკეთესო სკოლაა, დიდი ადამიანები გაუზრდია, აკადემიკოსები, პროფესორები, გენერლები, სპორტსმენები, 2 გამგებელი, ქალაქის მერი, ვიცე-მერები, ძლიერი პედაგოგები და დირექტორები". მანანა ჯულაყიძემ, ფიზიკის პედაგოგმა მიმართა ნათელა მასწავლებელს: " თქვენი სერტიფიკატი დღევანდელი ღონისძიებაა ნათელა მასწავლებელო, ჩათვალეთ, რომ დღეს მიიღეთ 20 კრედიტ-ქულა".

"გვირწევდით ოქროს ხელებით იაიების აკვანს..."

ნათია ნაცვლიშვილი

მეოთხე სკოლის წინ ქუჩა მცირე ხნით გადაიკეტა, რადგან ნანა ჯღარკავას მოსწავლეებმა ფლეშ-მობი მოაწყვეს და მზიარული ცეკვით გააცილეს ოთხი წელიწადი... მზიანი დარი იდგა და მათ ციცქნა გულებში ანთებულ მზეს ესიტყვებოდა, სახეგაცისკროვნებულნი ცეკვავდნენ პატარები, ეზოს გარეთ გამოვლენილი ცეცხლოვანება არც სკოლასო ოთახში შესულებს განელებიათ. მათი მზიარული, ენერგიული, ლაღი და მჩქეფარე ბავშვობა ამ კედლებში გაირბენს, ისევე, როგორც მრავალი თაობისამ გაირბინა. ნანა მასწავლებლის ცრემლებიც ხომ მოსწავლე-მასწავლებლის სიყვარულის უტყუარი გამოვლენაა, დაწყებითების პედაგოგმა ოთხი ლამაზი წელი დაჰყო ამ ბავშვებთან. ახლა კი, ეს სასწავლო იდილია მათთვის სასიკეთოდ უნდა დაირღვევს, ნანა მასწავლებელთან ახლები მოვლენ, ესენი კი, როგორც თავად გვითხრეს, ახალი სივრცეების დასალაშქრად ემზადებიან...

პატარები დიდი სითბოთი და სიყვარულით მიესალმნენ ერის სულის ღირსეულ და უპირველეს მჭედელს, მასწავლებელს, "მაგ შევერცხლილ თმების კორიანტელში ერთი თეთრი იქნებ ჩვენი ბრალიაო", უთხრეს ლამაზი სტროფებით. უმშვენიერესი ლექსები სამშობლოსა და გმირი წინაპრების სადიდებლადაც მოიხმეს. ქართული ენა, "დედაენა" და ანბანი განადიდეს, თანამედროვე ეპოქაში უმთავრესი იარაღი რომ ცოდნაა, არც ამაში შეაქვთ ეჭვი პატარებს, ამიტომაც მიიჩნევენ განათლებას უპირველეს ძალ-ღონედ და სწავლის მწვერვალების დაპყრობას გვპირდებიან. ისინი განსაკუთრებული სიყვარულით მიესალმნენ ინგლისურის პედაგოგ ხათუნა ხუჭუას და მუსიკის პედაგოგს მარინა ახობაძეს. ამ შესანიშნავი მუსიკოსის მიერ მომზადებული ბავშვები დიდ დარბაზებს იპყრობენ, ეს მცირე სივრცეც დაიპყრეს. მარინა ახობაძემ ბენდთან ერთად გაალამაზა საღამო. მოსწავლეებმა შესარულეს მის მიერ შექმნილი სიმღერები "მოვდივართ იმედით" და "ვუმღეროთ სიცოცხლეს". რუსუდან სებისკვერაძის სიმღერის და ამ სიტყვების მოსმენისას "გვირწევდით ოქროს ხელებით იაიების აკვანს" ბევრ პედაგოგს აუკიაფდა თვალზე ცრემლი. ქართულ ცეკვას ბოშური ენაცვლებოდა, ბრწყინვალე ქორეოგრაფიული ნიჭიც გამოავლინეს პატარებმა. მარინა ახობაძემ შეუდარებელი ემოციით ღონისძიების ბოლოს ოთარ რამიშვილის "ოთხი დრო" შეასრულა და განმარტა, რომ დიდ მაესტროსთან ერთად თავადაც არის ამ ულამაზესი მელოდიის თანაავტორი.

მშობლების სახელით ამ კლასის პედაგოგებს თეონა ჭანტურია მიესალმა და მათი შვილების წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისა და ამაგის გამო მადლობა გადაუხადა. ის ლექსითაც მიესალმა შეკრებილთ. ღონისძიების ბოლოს მისივე ლამაზი ლექსით გააცილა ბავშვები ნანა მასწავლებელმა. ბოლოს პედაგოგებს, მშობლებსა და ბავშვებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ირმა ზარნაძე მიესალმა: " ძალიან დიდი მადლობა ბავშვებო, რომ ასე ლამაზი საღამო მოაწყვეთ, მადლობა, ნანა მასწავლებელო, ასე რომ დააფრთიანეთ ბავშვები, ასწავლეთ მათ წერა-კითხვა, ანგარიში, ლამაზად გამართულად და დახვეწილად საუბარი, ვიცი, რომ ეს ძალიან კარგი ნაკადია, მადლობა მშობლებო, პედაგოგისადმი თქვენი თანადგომის გარეშე შედეგი ასე კარგი არ იქნებოდა". საღამო ტრადიციული ფეიერვერკებით დასრულდა.

"რათა ძლიერი და წიგნიერი თაობა ჰყავდეს ჩვენს საქართველოს!"

მეთორმეტე საჯარო სკოლა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უძველესია. დიდი ტრადიციების მქონე ეს აკადემიური კერა ყველა პედაგოგსა და მოსწავლეს შემოქმედებით აქტიურობას, ეპოქალურ ცვლილებებთან ფეხშეწყობას და ტრადიციების გაგრძელებას ავალდებულებს. მრავალწლოვანი პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგი მარინა მამასახლისი ვინ იცის, მერამდენე თაობას აცილებს. უკვე ოთხმა წელმა გაიროლა მას მერე, რაც პირველ გაკვეთილზე გულში ჩაიკრა ეს ბავშვები. ახლა ისინი, მის კალთის ქვეშ დაფრთიანებულნი, მადლობას ეუბნებიან შინაარსიანად გატარებული 4 წლის გამო.

შემაჯამებელ ღონისძიებას მარინა მასწავლებლის მიერ გამოზრდილი ორი თაობაც ესწრება _ მეთორმეტე და მერვეკლასელები. სწორედ მათ გახსნეს და დაასრულეს ღონისძიება ცეკვით.

"თაობები"_ ასე ერქვა ამ ღამაზ საღამოს. პატარებმა ენისა და სამშობლოს სიყვარული, პედაგოგებისა და სკოლისადმი პატივისცემა გამოავლინეს, ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშების წარმოთქმაში ერთურთს ტოლი არ დაუდეს. სწავლა-ცოდნის უდიდეს მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ქართველთა ოთხი უპირველესი წიგნი შეგვახსენეს: "ბიბლია", "ქართლის ცხოვრება" "ვეფხისტყაოსანი" და "დედაენა". მადლობა უთხრეს მათი სულების ჭეშმარიტ მჭედელს, მასწავლებელს. ხალხური "არხოტო ხევსუროთი" და რევაზ ლაღიძის შესანიშნავი სიმღერით "ჰერიო ბიჭებო" სათქმელი კიდევ უფრო ხატოვნად თქვეს. ბავშვებმა მუსიკის პედაგოგ ლელა გოლიაძეს განსაკუთრებული მადლობა უთხრეს. უცხოურ ცეკვებში ისინი პედაგოგმა ქრისტინე ზაქრაძემ მოამზადა, ხოლო, ქართულ ცეკვებში, პედაგოგმა ჟორა პაქსაშვილმა. "დაისის" შესანიშნავი შესრულებით ნოდარ შანიძემ და სალომე ვაჩეიშვილმა დარბაზი მონუსხეს. ფოიერვერკმა მათ ცხოვრების ახალი ეტაპის დადგომა ამცნო. ღონისძიებას სკოლის დირექტორი ხათუნა თელია და სასწავლო ნაწილის გამგე ხათუნა კოსტავა ობიექტური მიზეზების გამო ვერ დაესწრნენ. მოსწავლეებს დაწყებითების კათედრის გამგე, ნატალია ადეიშვილი მიესალმა: " გზას დავულოცავ ამ უნიჭიერეს და ულამაზეს ბავშვებს, შესანიშნავი ღონისძიება ჩატარდა, ჩვენმა მარინა მასწავლებელმა ეს ბავშვები ცოდნას დააუფლა, თავს ევლებოდა მათ ამ 4 წლის განმავლობაში, დედობრივი ალერსითა და რუდუნებით, გისურვებთ მრავალი ასეთი შესანიშნავი თაობა აღგეზარდოთ მარინა მასწავლებელო!"

ნათია ნაცვლიშვილი



ნისლიანი გორაკები

ლაგვიანბუკი გამოხმაურება წიგნზე „წვიმიანი, რომელიც ლანგარიბუკი ვერ მიმიღიბ".

ცხოვრება ადამიანისათვის მასწავლებელიცაა, აღმზრდელიც და მწვრთნელიც. ყურს კარგად თუ მიუგდებ, გეტყვის, როგორ უნდა გაძლო, როგორ უნდა გადარჩე. თუ ასე ვიმსჯელებთ, ადვილად მივხვდებით, რომ სწორედ ცხოვრებამ გამოაწრთო ბორის ფოცხვერაშვილის სული.

ობოლს ღმერთი წყალობსო და ეს წყალობა გაცხადდა. ბებიას გაზრდილმა ობოლმა, ქარტეხილებს გაუძლო. სწორედ ამ ქარტეხილებთან მებრძოლი გული, ღრუბელივით ისრუტავდა ყოველს... ამ ტკივილებიდან აირეკლა სხივები... რომლებიც ბორის ფოცხვერაშვილის წიგნში ჩასანთლდა...

"წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება" აუცილებლად უნდა დაწერილიყო. შეიძლება დასავიწყებლად არც ერთი დღე გემეტებოდეს, მაგრამ ბორისის ასაკში წარსულ დღეთა გახსენება... თავმოყრა... მწერლური ნიჭით გააზრება და წიგნად გამოცემა, არცთუ ისე იოლი საქმე იყო. მან ეს შეძლო, რითაც უკვდავყო ნ. ბარათშვილის ნათქვამი _ "რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის". სწორედ შვილიშვილთათვის, მომავალი თაობებისათვის იყო საჭირო ეს წიგნი, რათა მათ ისწავლონ ჭირის დროს გაძლება. "ობლად დარჩენილები არ შევშინდით და ცხოვრების ავ-კარგს დამოუკიდებლად შევეჭიდეთ" (ბ.ფ). არცთუ ისე იოლი იყო ეს ჭიდილი.

წიგნის ავტორმა კარგად გაითავისა საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვები: "პატივი მიაგეთ მშობლებს, შეისწავლეთ თქვენი ოჯახის და გვარის ისტორია, გახსოვდეთ ღირსეული წინაპრები" _ სამივე მოწოდება ბრწყინვალედ არის შესრულებული. გულწრფელად ვამბობ: უცრემლოდ ვერ წავიკითხე მე ეს წიგნი. დიდი სულიერი წვითაა დაწერილი სიტყვები... ადრე დაღუპული დედის მიმართ რომ ითქვა: "მახსოვს სიცოცხლის ბოლოს, სოფელში ჩამოსული, საოცრად დასუსტებული დედა, მისი ავადმყოფობით გამოწვეული ხველების ხმა ხანდახან ახლაც ჩამესმის.

...ვიღაცამ მრავალძარღვას ნახარშის დალევა ურჩია. მეც მას მონდომებით ვაგროვებდი, რომ მისთვის მიმეტანა. ამ ბალახს შემდგომშიც პატივს ვცემდი და სიმინდის თოხნის დროს არა თუ ვჭრიდი, ძირს ვუთოხნიდი".

ვაჟა-ფშაველას სიტყვები გამახსენდა, "ვინ აატიროს თუ არ ძე, სნეული მშობლის კვნესამ".

სამამულო ომის გამო მამით დაობლებულს, დედაც ადრე გარდაეცვალა. ცხრა წლის ასაკში მშობლებდაკარგული ობოლი პირისპირ დადგა მწარე სინამდვილესთან.

ბრუნავდა ტკივილების გორგალი... მრავლდებოდა ნისლმორეული დღეები... ამ ნისლებში ნაკვერცხალივით გიზგიზებდა გული. რომელიც ტკივილებმა ვერ გააბოროტა. სიყვარულის და სიკეთის შუქმა ნისლიანი გორაკები გადაატარა და ადამიანური ღირებულებების დიდ ნათელს შეურია.

მისაბაძია ავტორის მაძიებელი სული, ახლობელთა, თავისი გვარის წარმომადგენელთა ძებნითა და აღმოჩენით რომ ხარობდა... ახლა მათი მოგონებებით ცოცხლობს.

პარტიული საქმიანობა, ალბათ, ბორისის ბედისწერა იყო, თორემ მისი მწერლური სული და ცნობილი კომპოზიტორის კოტე ფოცხვერაშვილის (ბორის ბაბუას ძმა) გენი, მას დიდ ხელოვნად აქცევდა.

სანთელ-საკმეველს შუქი არ დაუკარგავს. მოდიდებული სულიერი სინათლე მის სტრიქონებში ჩაშუქდა და მოგონებათა მზეებად იქცა. ამ მოგონებებიდან ნათლად ჩანს, რომ ბორისის ცხოვრების გზის დვრიტა შრომის და სწავლის სიყვარული იყო. მას არ ჰქონია აკვიატებული კარიერისტული ლტოლვა. შრომითი ცხოვრების გზაზე, მისი პირველი ნაბიჯი მუშად მუშაობა იყო. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდას მსახურებდა. მერე ყველაფერი ბედისწერის დინებით წავიდა. მისი ყოველი ნაბიჯი ღმრთისაგან მირონცხებული იყო, ადამიანური სითბოთი და სიყვარულით სავსე. მრავალტკივილნახულს, კარგად ესმოდა სხვისი ტკივილები. განსაკუთრებით სწყალობდა ობოლსა და გაჭირვებულს...

წიგნში _ "წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება" ბევრი საინტერესო ეპიზოდია, რომელსაც გულგრილად ვერ წაიკითხავ. გასაოცარი სითბოთი და სიყვარულით არის დაწერილი ადამიანებზე, ზოგიერთ ფურცელს მეორედ წაიკითხავ რომ კარგად გაიაზრო წარსული, საიდან მოვდივართ და ვისი გორისა ვართ. ეს წიგნი ღირსეულად გააგრძელებს სიცოცხლეს ჩვენს შვილებში და შვილიშვილებში...

სამტრედიის რაიონის ახალგაზრდობის ყოფილმა ლიდერმა ბევრი სამახსოვრო დღე გვაჩუქა მეგობრებს... დღესაც იმდროინდელი სიყვარულით ვცხოვრობთ. ბორისი ახლაც ჩვენი სამეგობროს თავკაცია.

ახლახან, ბორისმა საყვარელი მეუღლე დაკარგა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი ფლორას სული. მისი მეუღლის მეგობრებს გვიყვარდა უკეთილშობილესი ქალბატონი. ვწუხვარ, ავადმყოფობის გამო დაკრძალვას ვერ დავესწარი. ვფიქრობ, ახლა სჭირდება ბორისს მეგობრების თბილი სიტყვა. მინდა, სიმხნევე ვუსურვო შრომაში გამობრძმედილ მეგობარს. ოთხმოც წელს გადაცილებული, ახლაც რომ ვერ ისვენებს. შრომას მიჩვეული ისევ შრომობს... წერს... დღევანდელ წიგნთან სიმრავლეში მისი წიგნიც გამოჩნდა. "მოძრაობა და მარტო მოძრაობა... არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი", უთქვამს ილია ჭავჭავაძეს. წლებით დათოვლილ ბორის ფოცხვერაშვილს შეუძლია კიდევ მრავალი სტრიქონით გაგვახაროს.

ღმერთმა გაკურთხოს სამშობლოს სვე-ბედზე მოფიქრალო, ღვაწლმოსილო ამაგდარო, შენ მთელ საქართველოში დასავიწყებლად ბევრს არ ემეტები".

ზვიად ვაშაკიძე

სტადიონის მშენებლობა საერთო-სახალხო საქმედ გამოცხადდა

გივი მურღულაია წერდა: "იმ პერიოდში ქალაქის ცენტრში, სადაც ამჟამად რკინიგზის სამტრედიის განყოფილების შენობა და მის უკან რკინიგზელთა საცხოვრებელი სახლია, 1932 წლამდე იყო პირუტყვით სავაჭრო ბაზარი. ბაზრობის დამთავრების შემდეგ იმართებოდა ფეხბურთის თამაში. თითქმის ყოველდღე იქ ვიყავი და იქედან შემიყვარდა ფეხბურთი. მე ხომ იქვე ვცხოვრობდი. უფრო სრულყოფილი კი რკინიგზის მოედანი იყო. ეს მოედანი მდებარეობდა ამჟამად არსებული "ლოკომოტივის" სპორტდარბაზის სამხრეთით კიროვის ქუჩამდე. ხოლო როცა აღნიშნულ მოედანზე საცხოვრებელი შენობები ააგეს, მოედანი გადატანილი იქნა კიროვის ქუჩიდან კიდევ სამხრეთით 200 მეტრზე".

1955 წელს, აღნიშნული ბაზრის ადგილზე, შემდეგ ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში, სამტრედიელებმა ბადროსმტყორცნელისა და ფეხბურთელის ძეგლი დადგეს.

"ლოკომოტივის" სტადიონზე არაერთი სპორტული შეჯიბრება გამართულა. პერიოდულად სარემონტო სამუშაოებიც უტარდებოდა, მაგრამ 1960-იანი წლების ბოლოს სტადიონი იმდენად გამოვიდა მწყობრიდან, რომ ქართულ პრესაში ასეთი რეპლიკები გამოჩნდა: "წინა დღეებში წვიმდა, ზოგჯერ თოვდა კიდევაც. ბუნებრივია, ასეთმა ამინდმა მოედანზე წყალი დააყენა და თამაშიც ძნელი შეიქნა".

"ლოკომოტიველმა თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი მომენტი, როცა მეტოქის კარის აღება გარდუვალი უნდა ყოფილიყო... ამას ხელს უშლიდა მძიმე გრუნტიც". "ჯერ კიდევ ვერა და ვერ მოხერხდა "ლოკომოტივის" სტადიონის სრულფასოვანი კეთილმოწყობა. შეკეთებას მოითხოვს მოედანი, დასაჯდომები, სარბენი ბილიკები, გზები. შესაბამისმა ორგანიზაციებმა კი ამ საქმისთვის მეტი გულისხმიერება უნდა გამოიჩინონ".

1971 წელს ნოდარ ახალკაცი საქართველოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსად დანიშნეს. მისი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის _ გიორგი ბაქანიძის მეცადინეობით, რესპუბლიკის ფეხბურთის სტადიონების ინსპექტირება დაიწყო. "1972 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე 1 თვით ადრე სპეციალურად გამოყოფილი კომისიები შეამოწმებენ ბაზების მზადყოფნას და თუ იქ ყველაფერი წესრიგში არ იქნა, გუნდები სათამაშოდ არ დაიშვებიან". _ აცხადებდა გიორგი ბაქანიძე.

სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარ კოხრეიძემ გიორგი ბაქანიძესთან და ნოდარ ახალკაცთან კონსულტაციები გამართა და სამტრედიის "ლოკომოტივის" 1972 წლის თამაშების ჩატარება სათადარიგო მოედნებზე გადაწყვიტეს. შეჯიბრებები ძირითადად დიდი ჯიხაიშის სტადიონზე იმართებოდა. ამავე წელს დაიწყო სამტრედიის სტადიონის მასშტაბური რეკონსტრუქციაც.

ბორის ფოცხვერაშვილი იხსენებს: "როცა პარტიის რაიკომის ბიუროზე, მოედნის სრული რეკონსტრუქციისა და 12 ათას მაყურებელზე 9 თვეში დასასრულებელი სტადიონის მშენებლობის საკითხი დადგა, ბევრთან ერთად მისი შესრულება ჩემთვისაც წარმოუდგენელი იყო. ბიუროს დადგენილებით მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილეს, ბატონ რემი ვაშაკიძეს დაევალა.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი რაიონი ჩვენთვის ამ ისტორიულ მშენებლობაში ჩაერთო და ჩემს უიმედობასაც პირველი ბზარი მაშინ გაუჩნდა, როცა სექტემბრის ბოლოს სტადიონის მთლიანი კარკასი შეიკრა. მომდევნო სამ თვეში მაყურებელთათვის სკამების საკითხიც მოგვარდა. დარჩა ერთადერთი და მთავარი: მოედნის ამაღლება, სადრენაჟე კომუნიკაციების მოწყობა და რადგან ბალახის დათესვით მიწის ზედაპირის შეკვრა ვერ მოესწრებოდა, სხვაგან აჭრილი მიწის შემოტანა და დაგება.

მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლოს ძალიან ცუდი ამინდები დაიჭირა, სტადიონზე სამუშაოდ ყოველივე, მინიმუმ, 500 კაცი მაინც გამოდიოდა. საშუალო სკოლების, ტექნიკუმების, პროფესიული სასწავლებლების თუ ცალკეული წარმოება-დაწესებულებებისათვის კარვები გაიშალა და თოვლსა და წვიმაში სამუშაოები მის ქვეშ მიმდინარეობდა.

მარტის 20 რიცხვისთვის სტადიონი უკვე მზად იყო. გათამაშების სეზონი კი 18 აპრილისთვის იწყებოდა. აპრილის დასაწყისში რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები მისი ვარგისიანობის შესამოწმებლად ჩამოვიდნენ, ვერ დაიჯერეს, რომ ამხელა მშენებლობა სულ რაღაც 9 თვეში დამთავრდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ სხვადასხვა ფერზე გადაღებილი და მოედანზე ამოსული, ასევე სხვადასხვა ფერის მინდვრის ყვავილები საოცარ სილამაზეს ჰქმნიდნენ".

1973 წლის 21 აპრილს საქართველოს მთავარი სპორტული გაზეთის _ "ლელოს" მეორე და მესამე გვერდზე, ფოტოკორესპონდენტმა ზ. ზარგარიანმა სამტრედიის "ლოკომოტივის" სტადიონის ფართოფორმატიანი ფოტოსურათი გამოაქვეყნა ჯ. ვაშაკიძის კომენტარით. სტადიონი ამ დროს ექსპლუატაციაში უკვე შესული იყო. სამტრედიის "ლოკომოტივის" სტადიონი ოფიციალურად 10 ათას მაყურებელს იტევდა, ხოლო მაქსიმალური დატვირთვის დროს 12 ათას მაყურებელი ეტეოდა. სტადიონს ძირითადად რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანცია აშენებდა და მას ეხმარებოდნენ: რკინიგზის მეორე საამშენებლო სამმართველო, "საქსოფლტექნიკის" საამშენებლო სამმართველო, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტის კომპლექტაციის სამმართველო, საშენ მასალათა კომბინატი და ოცდამეხუთე მექანიზებული კოლონა, სამტრედიის სარემონტო უბანი, საგზაო უბანი, კავშირგაბმულობის მეოთხე ტექნიკური კვანძის სპეციალიზებული მოძრავი კოლონა, ხის დამმუშავებელი კომბინატი, "საქართველოს ჩაის" მექანიკური ქარხანა, სატვირთო ავტოსაწარმო, რკინიგზის ელექტროფიკაციის უბანი და სხვა ორგანიზაციები.

"რაიონის ხელმძღვა

ნელობამ სტადიონის მშენებლობა საერთო სახალხო საქმედ გამოაცხადა და ამიტომ აქ მშენებლებთან ერთად ნახავდით მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებს, მოსწავლეებს, მოსამსახურეებს, რკინიგზის საწარმოების მშრომელებს"... _ აღნიშნავდა ოთარ ნაფეტვარიძე.

მალხაზ კოხრეიძე



1955 წელი. სამტრედია. სადგურის მოედნიდან ჯავახიშვილის ქუჩის შესასვლელი. ბადროს მსტყორცნელის და ფეხბურთელის სკულპტურები.

1972 წელი. სამტრედიის "ლოკომოტივის" სტადიონის რეკონსტრუქცია. ნოდარ კოხრეიძე, ოთარ ცირეკიძე, ჯანუსი ბოხუა

1973 წელი. სამტრედიის "ლოკომოტივის" სტადიონის დასავლეთ ტრიბუნა.

საუნჯე

დედა უნივერსიტეტის სათავეებთან

ჩვენს ხელთაა გაზეთ "ერთობას" 1918 წლის მეხუთე ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის წერილი (განცხადება) უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

ვიმედოვნებთ, ინტერესით გაეცნობა მას მკითხველი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, როგორც სტუდენტები, ასევე ისინიც, სწავლის გაგრძელება უნივერსიტეტში რომ გადაწყვიტეს.

"ტფილისში გაიხსნება 1918 წლის იანვრის შუა რიცხვებში უნივერსიტეტი. ამ თავითვე იქნება სიბრძნის მეტყველების, ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.

სტუდენტებად მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი) რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლების, საოსტატო ინსტიტუტის და სემინარიის, კადეტთა კორპუსის კურსდამთავრებულნი.

სტუდენტთა ჩარიცხვაზე საჭიროა 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ, 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის).

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი.

იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ, ხუთი თუმანი.

ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12-2 საათამდე, ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა.

ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის წევრები:

პეტრე მელიქიშვილი,

ივანე ჯავახიშვილი

გაზეთი "ერთობა" 1918 წ. №5".

იმავე 1918 წლის გაზეთ "დროებას" 114-ე ნომერში გამოქვეყნებულია სია იმ ადამიანებისა, რომელთაც უნივერსიტეტს თანხა და საჭირო ნივთები შესწირეს:

"ქართულ უნივერსიტეტს შემოსწირეს; 1) ბ. ისიდორე კოსტავამ ოცდა ექვსი ცალი ძველი ფული _ ორი ვერცხლისა და დანარჩენი სპილენძისა.

2) ქ-ნ ელ. ჯამბაკურ-ორბელიანისამ დიდი ფრანგული წიგნი.

3) ქუთაისის მასწავლებელთა გამომცემლობა ამხანაგობამ "განათლება" ორ-ორი ცალი საკუთარი გამოცემანი, 17 ცალი სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნებისა.

4) ქეთევან ალექსის ასულმა ყანჩაველმა თბილისის ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი შვიდას ოცდაათი მანეთი.

5) გიორგი ჭიჭინაძემ სოფ. თლუღიდან (ქვემო რაჭა) _ხის ჯვარი ათონური ხელობისა, ბრინჯაოს ბალთა და ბეჭდის თვალი.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

გაზეთი "ერთობა", 1918 წლის №114".

ლევან გაბეჩავა

ზურაბ ჯინჭარაძე

ბევრი ცხოვრობს ოდენ დღევანდელი დღით.

ბევრმა აქცია მოდად, არ გაიხსენოს წარსული, არ მოიგონოს გარდასულნი და ამ ჟესტით თავი საზოგადოებას ახალგაზრდად, გუშინდლად მოაჩვენოს. აშკარად თუ მალულად ირონიას არ იშურებენ მათი მისამართით, წარსული რომ არ ემეტებათ დასავიწყებლად.

კიდევ ერთი ღირსეული კაცი, ნიჭიერი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, **ბატონი ზურაბ ჯინჭარაძე** მიაბარეს ამ დღეებში მიწას.

ათეული წლების მანძილზე გახლდათ ბატონი ზურაბი სახელმწიფო დაზღვევის სამტრედიის ინსპექციის უფროსი. დაზღვევის ინსპექცია მისი თავკაცობით არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო მასშტაბითაც, რის შედეგადაც მიღებული დამატებითი შემოსავალი (პრემიები, ჯილდოები) ასახვას პოულობდნენ არა მარტო ხელმძღვანელისა და მასთან დაახლოებული რამდენიმე პირის (როგორც შემდეგ წლებში დამკვიდრდა საქართველოში), არამედ რაიონისა და ორგანიზაციაში დასაქმებულთა კეთილდღეობაზეც.

ღირსეული შვილები, შვილიშვილები აღზარდეს ბატონმა ზურაბმა და მისმა მეუღლემ, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ქალბატონმა ზოია თევზაძემ.

რედაქცია და დაზღვევის ინსპექცია წლების მანძილზე ერთ დერეფანში იყო განთავსებული და რედაქციასთან დაზღვევის ინსპექციის თანამშრომელთა განსაკუთრებულ სიახლოვეს ესეც განაპირობებდა.

შრომისმოყვარე, პატიოსანი, მეგობართა მცნობი, ნიჭიერი ორგანიზატორი, ქართული სულის კაცი დააკლდა სამტრედიას ბატონი ზურაბ ჯინჭარაძის სახით.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

ცისანა ძოძუაშვილი

ორმოცმა დღემაც თვალის დახამხამებაში გაირბინა.

აღარაა ჩვენს შორის რედაქციის უხუცესი ქალბატონი, კეთილი, მოფუსფუსე, მოუღლელი ცისანა დეიდა.

აღდგომიდან ამაღლებამდე პერიოდს დაემთხვა მისი გარდაცვალება. გიორგობას მივაბარეთ მიწას.

არაფერი ხდება შემთხვევით.

უბრალო იყო, კეთილი და...

ლოცვით ვაცილებთ მარადიული სამყოფელისაკენ მიმავალ თქვენს სპეტაკ სულს, ჩვენო ცისანა დეიდა.

ნათელში იყავი უფალთან ახლოს!

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია

მიხეილ ჯიქიძე



ვინ იცის, რამდენი ღირსეული ადამიანი აღუზრდია დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სახელობის საჯარო სკოლას.

ღირსეულთა აღზრდა მხოლოდ ღირსეულთ ხელეწიფებათ.

იმ დროს ვიხსენებთ, არა ერთი და ორი ამაგდარი პედაგოგი რომ მოღვაწეობდა ამ სკოლაში, სადაც ოჯახური დინასტია ჯიქიძეების გვარს ეკუთვნოდა: ძმები ევგენ და მიხეილ ჯიქიძეები, მათი მეუღლეები თამარ შოვნაძე და გულნარა რუხაძე, ბატონი მიშასა და ქალბატონი გულნარას ქალიშვილი შორენა. იყო დრო, თქვენი ოჯახიდან სამი პედაგოგი გადმოდიოდა მიშა მასწავლებელო და სამივენი უერთგულესად ემსახურებოდით საყვარელ საქმეს.

დრომ თავისი გაიტანა.

უკან დარჩა ღირსეულად განვლილი 92 წელი, საიდანაც 45 წელი მოსწავლე-ახალგაზრდობას მიუძღვენით.

სიამაყით, სევდით ვიხსენებთ ყაზბეგის სკოლაში ერთად მუშაობის წლებს, ჩვენს მეგობრულ პედაგოგიურ კოლექტივს, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა მაშინ ახალგაზრდა კაცი, ბატონი ზურაბ ფანცულაია.

ნათელში ბრძანდებოდეთ უფროსო კოლეგავ და მეგობარო, ჩვენო მიშა მასწავლებელო!

ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი, ვენერა კაჭახიძე, შუქრი ურუშაძე

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო მწუხარებით იუწყებიან

ტარიელ კიზივაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

ტარიელ კიზივაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეგობრები თანაუგრძნობენ დიმიტრი არაბიძეს მამის

რევაზ არაბიძის

გარდაცვალების გამო.

ვალერი ფოცხვერია, ბეჟან გოგია და თამაზ ნიკურაძე თანაუგრძნობენ დიმიტრი არაბიძეს მამის

რევაზ არაბიძის

გარდაცვალების გამო.

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ ქრისტინე ნადირაძეს დედის

ქალბატონ ჟუჟუნა ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

ვალერი ფოცხვერია, ბეჟან გოგია და თამაზ ნიკურაძე თანაუგრძნობენ ნუგზარ ბერიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს ნუგზარ ბერიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე თანაუგრძნობენ ნუგზარ ბერიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

სს "საქართველოს რკინიგზას" დასავლეთის ელმომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია სამძიმარს უცხადებს ლარისა და სოფიკო ჩორგოლაშვილებს

დედისა და ბებიის

გარდაცვალების გამო.

იუბილე

გილოცავთ!

სხვათა სიხარულით ხარობს

ჩვენს ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომელთა არსებობითაც თავს ბედნიერად ვგრძნობთ. ადამიანები, რომლებიც არა მარტო ოჯახებისთვის, ჩვენთვისაც დაიბადნენ.

ერთ-ერთი ასეთთაგანი თქვენ ხართ, ჩვენო ჭკვიანო, ერუდირებულო, გულისხმიერო, მოყვასის მოყვარულო, ქალბატონო. სიტყვები არ გვეყოფა ნათელა გელეიშვილის დასახასიათებლად, ადამიანის, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი სამტრედიის წინსვლასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი.

გილოცავთ, დაბადების დღეს, ჩვენო ერთგულო მეგობარო. გისურვებთ, თქვენი დიდებული ოჯახის კარგად ყოფნითა და სიძლიერით მომავალშიც გაგებედნიერებინოთ.

მეგობრები

სტკივა ყველას სატკივარი.

წყენას ივიწყებს, ასკერძ მიუზღავს სიკეთის მქნელს.

ერთ-ერთია მათ შორის, თავის მართლება რომ არაფერზე სჭირდება.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სამტრედიელი ახალგაზრდების ლიდერი იყო. თითქმის 20 წელი რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ.

როცა ღირებულებები გადაფასდა და ყველაფერი აირია, ქალბატონი ნათელა გელეიშვილი ქალთა მოძრაობაში ჩაერთო, შემდეგ კი სოციალურ სამსახურს განაგებდა, უპოვართ მწარე სიბერეს ულამაზებდა, სალბუნად ედებოდა მოხუცთა ტკივილს.

ჰეშვში დატეული წყალივით გაირბინეს წლებმა.

ტკბილთან ერთად მწარე მოგონებებიც დააჩნდა სულს.

ასეთია ცხოვრება...

ღირსეული ქალბატონი უქმად არც დღესაა, აქტიურადაა ჩართული სამტრედიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მისი მონაწილეობა მეტ შნოსა და ლაზათს ჰმატებს, მეტად ღირებულსა და წონადს ხდის შეხვედრებს, გამოფენებს, შემოქმედებით საღამოებს...

სიტყვაძუნწია, როცა საკუთარ ნამოღვაწარზე ვეკითხებით.

სიტყვაუხვობს სხვათა წარმოსაჩენად.

ბევრს როდი შეუძლია ასე!

არ სჭირდება ღირსეულ მეუღლეს, საყვარელ დედას, უსაყვარლეს ბებიას იმუნიტეტად გამოიყენოს სიჭარმაგე.

ამაოდ როდი შეარქვეს სამტრედიელთა "დედა ტერეზა".

ჩემი თაობისათვის მისაბაძი, ერთგვარი საზომი იყო და არის ქალბატონი ნათელა გელეიშვილისთანა ადამიანები.

გაზეთის იუბილე იყო წლების წინ, ყველაზე ადრე მისულიყო დარბაზში და აწესრიგებდა იქაურობას, სტუმრების წინ რედაქცია, რაიონი ღირსეულად რომ წარმოჩენილიყო.

სპეციალისტები ეწვივნენ სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, უნიკალური ექსპონატებიც გადასცა მუზეუმს და მასპინძლობაც თავადვე იკისრაო, გაიხსენა ამას წინათ მუზეუმის ხელმძღვანელმა გულიკო ცინცაძემ.

როცა სამტრედიის ენციკლოპედია კეთდებოდა (ისევ სხვებისაგან განსხვავებით), ყველაფერი გააკეთა, რომ ღირსეულნი არ დარჩენილიყვნენ სათანადოდ შეუფასებელნი.

ბევრი, ძალზე ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს ქალბატონზე, რომელსაც, დიახაც რომ, შეუძლია იამაყოს ლამაზად განვლილი წლებით.

არ დავაკონკრეტებთ, ამჯერადაც საპასუხისმგებლო, საშვილიშვილო საქმეს შეეჭიდა, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მრავალს გაახარებს, გაახსენებს განუმეორებელ წლებს, წუთებს.

არც ისე დიდი დრო გასულა, ქალბატონო ნათელა. ბევრი გაქვთ კვლავაც გასაკეთებელი, დიდი გზაა ისევ გასავლელი, თქვენეულად, ღირსეულად, კდემით.

მეგობართა ერთგულსა და გამტანს წლების წინ შესანიშნავი წიგნი გიძღვნათ ქალბატონმა იზოლდა ლორიამ, "ჩემი მშვენიერი ქალბატონი" ჰქვია წიგნს. მზეგრძელობას, დღეგრძელობას, ოჯახის კეთილდღეობას გისურვებთ "ჩვენო მშვენიერო ქალბატონო".

დიდხანს, დიდხანს ამშვენებდეთ მტრედით ნათლულ სამტრედიას განუყრელი ხელჩანთითა და თბილი ღიმილით.

ღირსეულ იუბილეს გილოცავთ, უღირსეულესო ქალბატონო!

ლევან გაბეჩავა

FamilyCredit

ვაკანსია

საკრედიტო მენეჯერი

ფუნქციები და მოვალეობები:

კლიენტის მოძიება და მოზიდვა;
კომპანიის მარკეტინგულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა;
საკრედიტო პორტფელის ხარისხის მართვა;
საკრედიტო ბაზრის შესწავლა და ანალიზი;
ანგარიშის მომზადება ყოველდღიურ საქმიანობაზე;
მიზნობრივი სეგმენტი: ფიზიკური პირები, მცირე ბიზნესი, ვაჭრობა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ასაკი 21-დან 45 წლამდე;
მოლაპარაკების წარმოების უნარი;
ენერგიულობა და კომუნიკაციის უნარი;
შრომისმოყვარე და მიზანდასახული;
კარიერული ზრდის სურვილი;
ანაზღაურება: მაღალანაზღაურებადი საბონუსე სისტემა.

დაგვიკავშირდით: 598 64 20 42, 032 214 01 01.

მზადება დაიწყეს

საქართველოს 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის გიორგი ყიფიანის ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატის, რომელიც 2 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით გაიმართება საქართველოში, (თბილისსა და გორში). მზადების მიზნით ათდღიან შეკრებას გაივლის ბულგარეთში, სადაც 14 და 16 ივნისს ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს მასპინძელ თანატოლ ბულგარელებთან.

ახალგაზრდული ჩემპიონატი

31 მაისს საქართველოში (თბილისსა და ქუთაისში) სტარტი აიღო და რამოდენიმე დღეს დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს მორაგბეთა ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი 19 წლამდელთა შორის.

ჩემპიონატი 18 ივნისამდე გასტანს.

მირაბ ნიკოლეიშვილი

იქნებ არ იცოდით, რომ...

ბატი და იხვი სხვა ფრინველებისგან განსხვავებით დიდ ყინვებს უძლებენ. ექსპერიმენტებმა ცხადჰყვეს, რომ ბატებმა 105, ხოლო იხვებმა 115 გრადუსიან ყინვასაც ჩინებულად გაუძლეს.

***

დედაქალაქებიდან პლანეტაზე ყველაზე უძველესია დამასკო, სირიის დედაქალაქი. მისი სადედაქალაქო "სტაჟი" იწყება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში.

***

ყველაზე განიერი ქუჩა, რომლის სიგანე 300 მეტრია, ბრაზილიას ამშვენებს.

***

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი და უცვლელი პრეზიდენტი გარდაცვალებამდე ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი თვალებს ხუჭავდა თურმე, თან განსაკუთრებით მაგრად, როცა მას აქებდნენ, მის საქებარს ამბობდნენ.

***

მოუთმენლად ელოდა თურმე შაბათ-კვირის მოსვლას აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი, რათა მშობლიურ სოფელში ასულიყო, ფეხსაცმელი, წინდები გაეხადა და ბაღ-ბოსტანში ფეხშიშველს ემუშავა.

მიწასთან შეხება უარყოფითი ენერგიისაგან მცლის, ახალი ენერგიით მავსებს, იტყოდა თურმე ბატონი ავლიპი.

***

ვერა და ვერ ეგუებოდა თურმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლეგენდარული რექტორი, აკადემიკოსი, ბუნების დიდი მესაიდუმლე ნიკო კეცხოველი საბჭოურ ცენტრალური გათბობის სისტემას "რადიატორებს".

ხშირად იტყოდა თურმე: ვაი, სულო, ნეტავ ახლა აქ ბუხარი იყოს და რცხილის შეშას გაჰქონდეს ტკაცა-ტკუცი. ეს მაშინაც ხდებოდა თურმე, როცა ოთახში 25-27 გრადუსი სითბო იყო.

უყვარდა ბუნება ბუნების ქომაგ მეცნიერს.

***

ჩიტების "გაჯავრება" ჰყვარებია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ ევგენი ხარაძეს, თან საოცრად ჰბაძავდა თურმე მგალობელ ფრინველებს.

მოამზადა ლევან გაბეჩავამ

იყიდება!

ვყიდი პიანინოს "უკრაინა", კარგ მდგომარეობაში. მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 592 049 393.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამხრეთის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა